# ახალგაზრდა ივერიელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

4 ივნისი სამშაბათი 1991 № 64 (11697)

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.




## ქართველი ერი პატივს მიაგებს წმინდა ნინოს

როგორ და რა გზით შეიძლებოდა იქ მისვლა. წმინდა ნინო ფეხშიშველა თავისი ჯვრით მოსულა მცხეთას და მამაზეციერს ქართლის მოქცევას შევედრებია...

იგი ქართველთა გაქრისტიანების მესაძირკვლეა.

შაბათს, 1 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ საქართველოს სამღვდელოებასთან და მრევლთან ერთად საზეიმო წირვა-ლოცვა აღავლინა ჯავახეთის მიწაზე წმინდა ნინოს სახელზე ღია ცის ქვეშ აღმართულ საკურთხეველში.

შემდეგ მორწმუნეთა დიდი ჯგუფი ფეხით

1 ივნისს სრულიად საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, ქართველმა ერმა დიდის პატივით აღნიშნეს წმინდისა დედისა ჩვენისა, ქართველთა განმანათლებლისა, მოციქულთა სწორისა, ქალწულისა ნინოს საქართველოში შემოსვლა. 323 წელს შემოვიდა საქართველოში კაბადოკიელი ქალწული თავისი თმით შეკრული ვაზის ჯვრით.

ნინოწმინდის (ყოფილი ბოგდანოვკის) მიწაზე ტბა თავფარავანთან მას მწყემსები შეხვედრიან. ქალწულს მათთვის უკითხავს — სად არის ქალაქი მცხეთაო. რასაკვირველია მწყემსებმა აუხსნეს, თუ





გამოემართა მცხეთისკენ იმ გზით, რომელიც ქართველთა განმანათლებელმა გაიარა.

კურთხეულ იყოს სახელი და ხსენება მოციქულთა სწორისა წმინდა ნინოსი.

(საქინფორმი).

**სურათებზე:**

1-3. წმინდა ნინოს ტრაპეზთან ღია ცის ქვეშ.

2. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უზენაესი და უნეტარესი ილია მეორე საზეიმო წირვა-ლოცვას აღავლენს.

გონდო დადვაძის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).




სამწუხაროდ, საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ დეზინფორმაციისა და ღვარძლის ინსტრუმენტის სახელურს მხოლოდ მ. გორბაჩოვი როდი ატრიალებს. მოაჭერით ნახატზე გორბაჩოვს თავი და დაადგით სხვა — შავგვრემანი, ულვაშიანი, გნებავთ ქართული ეროვნული ქუდით, — ერთი სიტყვით, ქართულსახიანი თავი (კონკრეტულად თქვენზეა თუ ვის აირჩევთ. ასარჩევი კი არც თუ მცირეა) და მიიღებთ იმ ჩვენი თანამოძის პორტრეტს, ყოველნაირად რომ ცდილობს საქართველოს (დიახ, საქართველოს და არა მისი რომელიმე კონკრეტული ხელმძღვანელის, როგორც ეს მას ჰგონია) დისკრედიტაციას უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

მურმან მიქაბერიძის ნახატი.

## ვითარება სამაჩაბლოში

ოსმა ბანდიტებმა ამ დღეებში გაახშირეს ქართველებზე თავდასხმა და მათი მძევლად აყვანა. ბანდიტებს ორ დღეს ჰყავდათ დატყვევებული ცხინვალელი მერი რომელაშვილი.

ქალაქის კომენდანტის შაქრო წინწკალაშვილის ენერგიული ჩარევით ქართველი მანდილოსანი გათავისუფლებულ იქნა.

პირველ ივნისს, სოფელ ფრისთან შეიარაღებული ბანდიტები თავს დაესხნენ მსუბუქ ავტომანქანას, რომლითაც ერედვში მიდიოდნენ გორის რაიონის მცხოვრებნი — იოსებ დოიჯაშვილი, ნიკო დვალიშვილი და ვანო ჩლაიძე. ბანდიტებმა ისინი დაატყვევეს და წაიყვანეს ტბეთის ტყეში, სადაც სასტიკად სცემეს. შემდეგ იოსებ დოიჯაშვილს წინადადება მისცეს წასულიყო და მოეტანა 250 ათასი მანეთი გამოსასყიდი. დოიჯაშვილმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბს მიაკითხა, შინაგანი ჯარის წარმომადგენლების დახმარებით მძევლები გაათავისუფლეს.

იმავე დღეს ცხინვალში მძევლად აიყვანეს ლენინის ქ. 129-ში მცხოვრები მიხეილ ბერუაშვილი, მოსთხოვეს 30 ათასი მანეთი გამოსასყიდი, მაგრამ როცა ბანდიტებმა შეიტყვეს რომ ეს ამბავი სათანადო ორგანოებისათვის ცნობილი გახდა, მიშა ბერუაშვილს გაზით დაამტვრიეს კბილები, დანით დაუსერეს ხელები და ისე გამოუშვეს. ამჟამად იგი გორის საავადმყოფოშია.

2 ივნისს დილით გორის რაიონის სოფელ ნიქოზს ოსმა ბანდიტებმა სროლა აუტეხეს სოფელ გუჯაბაურის მხრიდან.

ამავე საღამოს ნიქოზის განაპირას მდებარე მიხეილ რომელაშვილის სახლს თავს დაესხა შეიარაღებული ბანდიტთა ჯგუფი, ოჯახის უფროსი სახლში არ აღმოჩნდა. ბანდიტებმა იარაღის მუქარით ფული მოსთხოვეს მიხეილ რომელაშვილის მეუღლესა და ქალიშვილს. სოფლის მოსახლეობამ შეიტყო ამ თავდასხმის შესახებ და დასახმარებლად გამოეშურა. თავდამსხმელები გაიქცნენ, მაგრამ ხალხმა ამოიცნო ორი მათგანი — გუჯაბაურის მცხოვრებნი იური ხაჩიროვი და მშობლიური ერის გამყიდველი გია ბერუაშვილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი

საქინფორმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყიდება ქართული სული!

**...და გამოასხა ყოველი იგი განმსყიდელი და ყოველი, რომელი იყიდდა ტაძარსა შინა, და ტაბლები იგი მეკერმეთაი მათ დაამხუა და დასასხდომელები იგი მსყიდელთაი მათ ტრედისათაი დაუქცია.**

**და ჰრქუა მათ: წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს, ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი ქვაბ ავაზაკთა“. (მათე, 21, 12-13).**

როგორც მწერალი არისპებდა ზარს:

იყიდება!..

ყიდის ყველა: დიდი და პატარა, ქალი და კაცი, კეთილი და ბოროტი, მტერი და მოყვარე, რიგითი მოქალაქე და ხელისუფალი, სახელმწიფო დაწესებულება და კოოპერატივი, ინკოგნიტო გამომცემელი და ასლგადამღებელი...

იყიდება ყოველგვარი ფორმით და სახით: სახელმწიფო გრიფით, ფირმის ემბლემით, თვითგამოცემის უფლებით, წიგნის, გაზეთის, ბროშურის, სარეკლამო ფურცლების სახით...

იყიდება ყველგან: სპეციალურ მაღაზიაში, კიოსკში, ქუჩაში, მიწისქვეშა გასასვლელში, მეტროში, ავტობუსში, საპარიკმახეროში, საპირფარეშოში...

იყიდება ყველაფერი: მქუხარე სახელის ავტორთა უგემოვნო გამოცემა და საერთოდ გაუგებარ ავტორთა ბრწყინვალე გამოცემა, სენსაციური, პიკანტური, ინტრიგული ამბები, ქვეყნის ჭორები და, ღმერთო გვაპატიე, წმინდა სიმბოლოები, ლოცვები!..

იყიდება შიშვლად და ცხადად — ისიც, რაც მხოლოდ გაყიდვისათვის არის შექმნილი ამქვეყნად და ისიც, რაც წმინდაა, რაც ერის ისტორიული ნიშანი და ნიშატია, რაც ხალხის ცრემლით და სისხლით არის ამაღლებული, რასაც, როგორც დიდი ილია იტყოდა, უკეთური ხელი არ უნდა შეეხოს.

გამაოგნებელია: 9 აპრილის ეროვნული ტკივილი ოფიციალურ პუბლიკაციათა კომპილაციის სახით — მილიონ მანეთად მიეყიდა ქართველს!..

ყველაფერი იყიდება ერთადერთი ინტერესით — „ჯიბის“ ინტერესით! ამიტომაც იყიდება სულიერი სფეროსათვის შეუფერებელი ვაჭრული ფორმით, შემაცბუნებელი ფასებით, იბეჭდება და იყიდება ის, რაც მოგებას მოიტანს...

ამავე დროს — „ქაღალდი არ არის“, პოლიგრაფიული სიმძლავრეები „არ გვყოფნის“.

თუნდაც მხოლოდ ის ქაღალდი, რაც წყეული ეკატერინე მეორის ფავორიტების ქართულად გამოქვეყნებას დაეთმო, ეყოფოდა საწყალობელ მდგომარეობაში მყოფ ქართულ ფილოლოგიას! ახლა სექსუალური ენციკლოპედიები (გნებავთ? ინებეთ აკადემიური წიგნის მაღაზიაში!), სექსუალური და არასექსუალური, აღმოსავლური და დასავლური ჰოროსკოპები, ათასნაირი მისნობანი (ამდენი ოფიციალური მკრეხელობანი ქრისტიანულ ქვეყანაში!) — თვალუწვდენელ ტირაჟებად!..

ამავე დროს — „ქაღალდი არ არის“, პოლიგრაფიული სიმძლავრეები „არ გვყოფნის!..“

მაღაზიები სავსეა სულით და აზრით არაქართული ე. წ. კომერციული ლიტერატურით, კიოსკები სავსეა ჭრელა-ჭრულა, მყვირალა ჟურნალ-გაზეთებით, მეტროებთან საქმოსნები მართლაც „პროდუქციას“ ასაღებენ...

ამავე დროს — მწერალს თავისი ჭეშმარიტი ტკივილები ვერ მიუტანია მკითხველთან, მეცნიერს — თავისი ნაფიქრი ვერ გამოუქვეყნებია, პედაგოგს — ყელში მომდგარი სათქმელი ვერ უთქვამს...

ჩვენდა სამარცხვინოდ, არა გვაქვს თუნდაც ჩამორჩენილი ქვეყნისათვის შესაფერისი ბევრი სახელმძღვანელოც კი (თუმცა, რომელი გვაქვს საკმარისად?), ბევრი ლექსიკონიც კი (თუმცა, არსებულთაგან რომელი გვყოფნის?), სამეცნიერო-პოპულარული, საგანმანათლებლო წიგნები და ჟურნალებიც კი!..

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომთა ხელმოწერითი გამოცემა ვერა და ვერ დასრულებულა (ვგონებ, პირვანდელი პირობის თანახმად, 7-8 წლის წინათ უნდა დამთავრებულიყო).

დიდი ილიას თხზულებათა აკადემიური გამოცემა ისეთ პოლიგრაფიულ დონეზე იბეჭდება, ბოლო ტომები რომ გამოიცემა, პირველი ტომების წაკითხვას ველარ მოვახერხებთ!..

რომელი ერთი დავასახელოთ?!

ლექსიკონები ერის კულტურული დონის პირველი ნიშანია.

ჩვენი ლექსიკონები წლობით, ათწლობით ელოდება მზის სინათლეს.

წიგნის გამოცემის მესვეურები ცივად ხვდებიან ამ საქმეს; მიუხედავად ლექსიკონთა საკმარისად მასობრივი ტირაჟისა, დიდბატონურად და მრავალმნიშვნელოვნად ბრძანებენ — „წამგებიანი არ არის, მაგრამ არც იმდენად მომგებიანია, რომ!..“

დიახ, სიმართლე მწარეა. ქართულ სახელმწიფო გამომცემლობას ქართლურის ლექსიკონი — არ უნდა! ორთოგრაფიული ლექსიკონი არ უნდა! ფშაურის ლექსიკონი არ უნდა!..

სამაგიეროდ: სტალინის ჰოროსკოპი? — უნდა!.. ეკატერინე მეორის საყვარლები? — უნდა!..

როგორ დავიჯეროთ, რომ ის 99,99 პროცენტი ქართველი, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობას მისთვის შესაფერისი ულალატობით მისცა ხმა, ეკატერინე მეორის პიკანტურ ამბებს იყიდის და ქართლურის ლექსიკონს არ შეიძენს!..

ვგონებ, აქ საქმის არსს სიტყვა „კომერციაც“ არ გამოხატავს, სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე!..

არავინ იფიქროს, რაიმეს აკრძალვას ვქადაგებდეთ, ჩვენ ყველაფრისათვის შესაფერისი ადგილის მიჩენას მოვითხოვთ: სახელმწიფო გამომცემლობას თავისი სახელი უნდა ერქვას, კოოპერაციულს — თავისი, ქართულ ეროვნულ სულიერ სფეროს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს, ე. წ. კომერციულს — თავისი. საეჭვოდ მომრავლებულმა საეჭვო „კომერსანტებმა“ თავიანთი მოღვაწეობით ქართული კულტურა ჩიხში ვერ უნდა მოაქციონ, დღეს, კარს მომდგარი თავისუფლების მოლოდინში, ამდენხანს ნაგვემი, მაგრამ გადარჩენილი ქართული სული საქმოსნებს გასაყიდად არ უნდა დავანებოთ!..

**ავთანდილ არაბული**

**P. S. ...დაიწერა შარშან... იბეჭდება პირველად.**

# „გეორგიშეარბაიტერები“

# თუ სტუმრად მყოფი

# ქართველი მენაგვეები

ცოტა ხნის წინათ თბილისში გამოჩნდა განცხადებები — უცხოეთში მუშაობის მსურველებს კოოპერატივი N შესაძენად სთავაზობდა ანკეტებს, რომელთა შევსებისა და ჩაბარების შემდეგ შეეძლოთ მშვიდად დალოდებოდნენ მოწვევას. დღეს ყოველ ასეთ შემთხვევაში, როცა არ არსებობს შესაბამისი მიგრაციის კანონი, ადგილი აქვს უკვე კარგად ცნობილ „ბიზნესს“ ანკეტების ვაჭრობით.

საქმე აქ ეხება არა მხოლოდ დასავლეთის, როგორც გამდიდრების მირაჟს, არამედ იმ ფაქტს, რომ ძალზე ბევრია იქ სამუშაოდ წასვლის მსურველი. 1991 წლისათვის, ალბათ, მოწესრიგდება უცხოეთში გასვლის უფლებების შესახებ კანონმდებლობა და საქართველოშიც დაიწყება მოვლენები, რომლის პირველი ნიშნები ჩრდილოვანი ეკონომიკის ზემოთმოყვანილი ფაქტით გამოჩნდა.

ადრე თუ გვიან ადგილი ექნება სამუშაო ძალის მოძრაობას როგორც საქართველოდან სხვა ქვეყნებში, ისე პირიქით. ამიტომ აქედანვე უნდა გავარკვიოთ ამ მოვლენის არსი და გარკვეულ კონტროლს დავუქვემდებაროთ იგი. ეს კი ნიშნავს, რომ მეწარმეობას, ბიზნესს და საერთოდ სამეურნეო ინიციატივას, თუ ისინი ეროვნულ კონტექსტებში ჯდება, ხელი არ უნდა შევუშალოთ. ზემოთქმულიდან მნიშვნელოვანია, განვსაზღვროთ, თუ რა შეიძლება მოჰყვეს იმას, როცა ქართველებს ვინმე შეკრებს და წაიყვანს სხვა ქვეყნებში სამუშაოდ, ან უკეთეს შემთხვევაში თვითონ ქართველები მიაშურებენ სხვა ქვეყნებს ამ მიზნით.

საზღვარგარეთ სამუშაოდ თავისუფალი გასვლის უფლებასთან ერთად, გაჩნდებიან არალეგარული შუამავლები, არალეგალური „შრომის ბირჟები“, რომლებიც უცხოეთში მუშაობის მსურველების საზღვარგარეთ გაყვანის ორგანიზებას დაიწყებენ. ასეთი შუამავლობა საქმის ჩრდილოვანი მხარეა და თავიდანვეა საჭირო მისი აღკვეთა.

სამუშაო ძალის თავისუფალმა მოძრაობამ საბჭოთა კავშირში საშოვარზე სიარულის ფორმა — „შაბაშნიკობა“ — წარმოშვა. მსოფლიოს პრაქტიკაში იგივე მოვლენამ მიიღო „გასტარბაიტერების“ სახელწოდება. ეს უკანასკნელი ტერმინი წარმოიშვა გერმანიაში, როგორც იქ ძირითადად თურქეთიდან და იუგოსლავიიდან ჩასული მუშახელის სახელწოდება. აღნიშნული ტერმინის ზუსტი ეტიმოლოგიური მნიშვნელობაა „სტუმარი მუშები“.

ქვეყნიდან მუშახელის გასვლას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. დადებითია ის, რომ თუ ქვეყნის შიგნით ადგილი აქვს უმუშევრობას (მოვლენების საბაზრო ეკონომიკის დღევანდელი მიმართულებით განვითარების პირობებში მას აუცილებლად ექნება ადგილი საქართველოში), მაშინ იგი ამცირებს მას, ამასთან ქვეყანაში შემოდის უცხოური ვალუტა (თუმცა როგორც წესი, უცხოეთში მომუშავეთა კაპიტალის 2/3 იქვე ინახება, ქვეყანაში კი შემოდის ვალუტის 1/3). უარყოფითი მომენტებიდან კი ისაა აღსანიშნავი, რომ სამუშაო ძალის გასვლა ქვეყნის გარეთ ქვეყნის შიგნით არსებულ არც ერთ პრობლემას არ წყვეტს ბოლომდე, მათ შორის არც უმუშევრობას. იგი არც ცხოვრების დონის სასიკეთო ცვლილებას იწვევს. ამასთან ქვეყნიდან ადამიანები ახალგაზრდები მიდიან და მოხუცები ბრუნდებიან. ისინი უცხოეთში, როგორც წესი, საკუთარზე გაცილებით დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოზე მუშაობენ. ინტელიგენტები ან მაღალი კვალიფიკაციის მუშები დამლაგებლად იწყებენ მუშაობას მავნე წარმოებებში (მარტენში. ქიმიურ მრეწველობაში) ან შავ მუშებად მშენებლობაზე...

ზემოთ ნათქვამს ეკონომიკური და ემოციურ-მორალური მხარეც აქვს და დემოგრაფიული დატვირთვაც. როდესაც იუგოსლაველებმა გერმანიას, შვეციას, ავსტრიას ლა ა. შ. ქვეყნებს მიაშურეს სამუშაოდ (რადგან ამ ქვეყნებში ხელფასის ეროვნული სიდიდე უფრო მაღალია. ვიდრე იუგოსლავიაში), იგივე მიზეზით იუგოსლავიაში შევიდა მუშახელი პოლონეთიდან, რუმინეთიდან, ხოლო პოლონეთში — საბჭოთა კავშირიდან... შეიძლება წინასწარ განისაზღვროს, თუ როგორ იჩენს თავს აღნიშნული ტენდენცია საქართველოში იმ შემთხვევაში, თუ საქართველოდან სამუშაო ძალის უკონტროლო გასვლა მოხდება. მაშინ ადგილზე წარმოშობილ ვაკუუმს შეავსებენ სხვა მხრიდან მოსული „გასტარბაიტერები“. ყველაზე მეტად მოსალოდნელია, რომ საქართველოში სამუშაოსა და სარჩოს მაძიებელთა დიდი ჯგუფები აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან შემოვლენ, აგრეთვე — ჩრდილოეთ კავკასიიდან და რუსეთიდანაც. განსაკუთრებით ასეთი შემოსვლა აღმოსავლეთ საქართველოშია მოსალოდნელი.

საქმე ისაა, რომ დასავლეთზე ორიენტირებული ეკონომიკური სისტემის შექმნის კვალობაზე შეიცვლება საქართველოს სხვადასხვა რეგიონის განვითარების ტემპები. განვითარების ცენტრი, ალბათ, დასავლეთ საქართველოში, უპირველეს ყოვლისა ზღვისპირეთში გადაინაცვლებს, აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებით კი თბილის-რუსთავის რაიონში, გაჩნდება დასავლეთში წასასვლელად მომზადებული მუშახელი. მათ ადგილს კი დაიჭერენ მეზობელი რაიონებიდან და ქვეყნებიდან შემოსული ადამიანები.

სამუშაოზე წასვლის ასეთი ფორმა (კანონის გვერდის ავლით) უკვე არსებობს. მიდიან ტურისტებად და როგორც კი საზღვარს გადაკვეთენ, მუშები ხდებიან. „სოვარბაიტერები“ — საბჭოთა სტუმარი მუშების კატეგორია — უკვე წარმოიშვა და ფუნქციონირებს პოლონეთში, იუგოსლავიაში... წარმოშობის მომენტშია „გეორგიშეარბაიტერები“, რასაც უთუოდ უნდა გავუწიოთ წინააღმდეგობა. ამიტომ უნდა შემუშავდეს საქართველოს საემიგრაციო კანონი. მკაცრად უნდა განისაზღვროს საქართველოდან და საქართველოში სამუშაო ძალის მიგრაცია. უნდა დადგინდეს, თუ წლის განმავლობაში რამდენ კაცს შეუძლია წავიდეს სამუშაოდ უცხოეთში, მათ შორის — საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონში. უნდა განისაზღვროს თითოეული საშოვარზე წასულის კონტაქტების ხანგრძლივობა და დამოკიდებულება ბიუჯეტთან. უნდა დადგინდეს თუ რა რაოდენობის გადასახადით იქნება დაბეგრილი რესპუბლიკის გარეთ მომუშავე თითოეული ადამიანი. მხედველობაში უნდა მივიღოთ მიგრაციის პროფესიული მხარეც. ყველა პროფესიის წარმომადგენელს არ უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლება მიგრაციაზე, ან გაორებულ მოქალაქეობაზე და ა. შ.

ერთი სიტყვით, ბაზრისაგან შესაბამისი თავდაცვითი იმუნიტეტის გამომუშავებამდე ყოველნაირად უნდა დავიცვათ ქართველი კაცი...

**მიხეილ ჯიბუტი,**
**პროფესორი**

**გთხოვთ, ჰონორარი გადარიცხოთ მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.**

საქართველოს ჰუმანიტარული ასოციაცია
კათარზისი
CATHARSIS
THE HUMANITARIAN ASSOCIATION

**96-05-05**

ყოველი ჩვენგანი შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი პრობლემების წინაშე, რომლებიც გადაუჭრელად გვეჩვენება, იწვევს სულიერი სიმშვიდის დაკარგვას, მარტოობის განცდას, შფოთვასა და სასოწარკვეთასაც კი.

ასეთ დროს აკრიფეთ სამედიცინო-ფსიქოლოგიური დახმარების ნდობის ტელეფონის ნომერი 96-05-05 (ნაცვლად ადრე გამოცხადებული ნომრისა 39-48-01).

ფსიქოთერაპევტები და ფსიქოლოგები დღისა და ღამის ნებისმიერ დროს მზად არიან მოგისმინონ, გაიზიარონ თქვენი საწუხარი, მოგცენ რჩევა, გაგამხნევონ.

საუბრის საიდუმლოება დაცული იქნება.

თუ თქვენ შესაძლებლად მიგაჩნიათ კრიზისულ სამსახურთან უშუალო კონტაქტი, შეგიძლიათ მობრძანდეთ სათნოების სახლის სოციალურ-ფსიქოლოგიური დახმარების კაბინეტში. აქ თქვენ გელიან ექიმი ფსიქოთერაპევტები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები, იურისტები.

დახმარება უსასყიდლო და ანონიმურია.

კაბინეტი მუშაობს 15-დან 19 საათამდე, გარდა შაბათისა და კვირისა (დავით აღმაშენებლის გამზირი 121).

მობრძანდით და იგრძნობთ, რომ სათნოების სახლში თითოეული თქვენთაგანისათვის მოიძებნება სითბო და ნუგეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 26 მაისი და ბრძოლა ისტორიული ტერიტორიის აღდგენისათვის

ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება პროფესორი ლევან თოიძე

**— ჰქონდა თუ არა რაიმე გამწვავება სასაზღვრო საკითხს და იდგა თუ არ იგი საერთოდ ამიერკავკასიაში რევოლუციამდე?**

— რევოლუციამდე შინაკავკასიური საზღვრების საკითხი, ფაქტობრივად, არ არსებობდა. ამიერკავკასია დაყოფილი იყო ადმინისტრაციულ ერთეულებად: გუბერნიებად, მაზრებად და სასოფლო საზოგადოებებად.

პირველად საზღვრების გამიჯვნის საკითხი ამიერკავკასიაში ერობის („ზემსტვო“) შემოღებასთან დაკავშირებით წამოიჭრა. მაშინ ამიერკავკასიაში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს დიდი დავა ჰქონდათ ამ საკითხზე. საბოლოოდ უმრავლესობის მიერ აღიარებულ იქნა „რეალური მოსახლეობის“ პრინციპი. ეს იმას ნიშნავდა, რომ საერობო ტერიტორიების განსაზღვრისას გაეთვალისწინებინათ არა ეროვნულ-ისტორიული, ეკონომიკურ-სტრატეგიული და სხვა რომელიმე მოსაზრება, არამედ განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ მოსახლეობის უმრავლესობისათვის. მაგალითად, იქ, სადაც სომხური, აზერბაიჯანული, ან ვთქვათ, რუსული მოსახლეობა უმრავლესობას შეადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერიტორია ისტორიულად საქართველოს ეკუთვნოდა, იგი, ეს ტერიტორია, შესაბამისად, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ერობას უნდა გადასცემოდა. თუ ამ პრინციპით ყველა პარტია იხელმძღვანელებდა, მაშინ სასაზღვრო საკითხიც ადვილად გადაწყდებოდა, მაგრამ, ცხადია, რომ „რეალური მოსახლეობის“ პრინციპს ქართული პარტიები ვერ აღიარებდნენ. ამასთან ერობის შემოღებას ომმა მოუსწრო და, ბუნებრივია, ეს საკითხიც გადაუწყვეტელი დარჩა.

**— 1918-1920 წლებში საზღვრების საკითხი ადგილზე რომ ვერ გადაწყდა, იგი საერთაშორისო ასპარეზზეც გაიტანეს. ხომ არ შეეხებოდით ყველაზე დამახასიათებელ მომენტს?**

— დიახ, ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის საზღვრების თაობაზე დიპლომატიური ბრძოლაც მიმდინარეობდა და იგი საერთაშორისო კონფერენციების მსჯელობის საგნადაც აქციეს. თუმცა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბოლოოდ მორიგება ან ყველა საკითხში შეთანხმება იქაც ვერ მოხერხდა. და ეს არც არის გასაკვირი, რადგან რესპუბლიკები წინასწარგანზრახულ, ყოვლად მიუღებელ პროექტებს ადგენდნენ. დავასახელებ მხოლოდ მართლაც ყველაზე დამახასიათებელს.

პარიზის საზავო კონფერენციისათვის (1919 წ.) განსახილველად სომხეთმა და აზერბაიჯანმა გაამზადეს რუკები, რომელთაც საქართველო ვერაფრით ვერ გაიზიარებდა.

სომხეთის მიერ შედგენილი რუკის თანახმად სომხეთში უნდა შესულიყო თბილისი, ბორჩალოს, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, გორი, ბათუმი და ბათუმის ოლქი.

აზერბაიჯანის მიერ წარდგენილი რუკის მიხედვით კი აზერბაიჯანში უნდა მოქცეულიყო: საინგილო (ზაქათალა), ბორჩალოსა და ახალციხის მაზრები, ბათუმის ოლქი. ე. ი. აზერბაიჯანის მოთხოვნა რელიგიურ პრინციპს ემყარებოდა.

საქართველომ, ბუნებრივია, უსაფუძვლოდ მიიჩნია სომხეთისა და აზერბაიჯანის ეს პრეტენზიები (იხ. ზ. ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. თბ., 1925 წ.).

**— 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. იყო თუ არა ამ ხელშეკრულებაში განსაზღვრული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორია?**

— ხელშეკრულებაში ზოგადად განსაზღვრული იყო რუსეთისა და საქართველოს გამყოფი სახელმწიფო საზღვარი. იგი შავი ზღვიდან გასდევდა მდინარე ფსოუს, ახახჩას მთამდე, გადადიოდა ახახჩისა და აღაპეტის მთებზე, მიჰყვებოდა შავი ზღვის, ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების ჩრდილოეთ საზღვრებს ზაქათალის ოკრუგამდე და ამ ოკრუგის აღმოსავლეთ საზღვარს სომხეთის საზღვრამდე.

7 მაისის ხელშეკრულებას მოჰყვა დამატებითი შეთანხმება. იგი 12 მაისს გაფორმდა და საქართველო-აზერბაიჯანის სადავო სასაზღვრო საკითხს, კერძოდ ზაქათალის პრობლემას ეხებოდა.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ შექმნება საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენელთა შერეული კომისია რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით და ამ კომისიის გადაწყვეტილება სავალდებულო იქნებოდა როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანისთვის. ზაქათალის პრობლემა მაინც ვერ მოგვარდა.

**— როგორ მიმდინარეობდა უცხოეთის სახელმწიფოების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობის პროცესი?**

— ამ საკითხში საზღვარგარეთის ქვეყნები თავდაპირველად გარკვეულ სიფრთხილეს იჩენდნენ, რადგან არ იცოდნენ, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ზოგიერთი ქვეყანა, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატები ერთხანს იმ შეხედულებას იზიარებდა, რომ საჭირო იყო რუსეთის მთლიანობის დაცვა. აშშ-ი გამონაკლისს მხოლოდ ფინეთის, ეთნოგრაფიული პოლონეთისა და სომხეთის მიმართ აკეთებდა. ამ ქვეყნების ცნობაზე იგი უარს არ ამბობდა.

მდგომარეობა არსებითად შეიცვალა მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო. ამის შემდეგ, კერძოდ, 1921 წლის 14 იანვარს (ძველი სტილით) დიდმა სახელმწიფოებმა საქართველო დე იურედ ცნეს (დე ფაქტოდ ცნობა ადრეც მოხდა). თუმცა ერთა ლიგაში არ მიიღეს (აქ გადამწყვეტი როლი შეასრულა ინგლისისა და საფრანგეთის უარყოფითმა პოზიციამ). ისიც უნდა ითქვას, რომ უცხოეთის სახელმწიფოების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობის პროცესი გრძელდებოდა (ცოტა ხნით) საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც კი.

**— ახალშობილ დამოუკიდებელ საქართველოს მართლაც რომ ბედად დაჰყოლია ისტორიული საზღვრების დაცვისათვის ბრძოლა, მეზობელ სახელმწიფოებთან კონფლიქტები. მოკლედ ხომ არ დაახასიათებდით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის საერთო კურსს?**

— საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური კურსი, მისი კონცეფცია და ძირითადი მიმართულებები განსაზღვრული იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველსავე ოფიციალურ დოკუმენტში — „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში“, რომელიც საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისს მიიღო. დოკუმენტში ნათქვამია: „საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა“ და „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან“.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ საქართველო ბოლომდე ერთგული დარჩა ამ კურსისა. მას არც ერთხელ არ დაურღვევია ნეიტრალიტეტი უცხო სახელმწიფოთა ურთიერთობაში. იგი მხოლოდ თავს იცავდა (ზოგჯერ მარჯვედ, ზოგჯერ სუსტად) მტრული საგარეო ძალების შემოტევებისაგან. ასეთი საგარეო პოლიტიკური კურსი გაპირობებული იყო არა მარტო ქართველი ხალხის, მისი სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული ხასიათით, არამედ იმდროინდელი საერთაშორისო რეალობებითაც. ასე რომ, სრული ნეიტრალიტეტისა და მოსაზღვრე სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის კურსი საქართველოსათვის ღვთით იყო ნაკარნახევი.

ეს კურსი, ცხადია, არ გამორიცხავდა საქართველოს ისტორიული საზღვრების დაცვისა თუ აღდგენა-შენარჩუნებისათვის ზრუნვას, რაც ზშირად სცილდებოდა დიპლომატიური ურთიერთობის ფარგლებს და შეიარაღებულ კონფლიქტებშიც გადაიზრდებოდა. ასეთი სახე მიიღო, მაგალითად, საქართველო-თურქეთისა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობებმა. ეს სამწუხარო და დასაგმობია, მაგრამ, ალბათ, ნაკლებ გასაკვირი, რადგან თურქეთიცა და რუსეთიც, მათთან ერთად ინგლისიც ამიერკავკასიაში მოევლინნენ როგორც დამპყრობელი ქვეყნები. ამიტომ ამ იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობებისათვის თითქოს ბუნებრივადაც კი უნდა მივიჩნიოთ კონფრონტაცია, ომი, სისხლისღვრა (თუ რეალობას გავითვალისწინებთ, გერმანია-საქართველოს ურთიერთობა იმ პერიოდში გარკვეულწილად სხვა კონტექსტში უნდა განვიხილოთ), მაგრამ ნამდვილად დასანანია, რომ შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილება ვერ მოხერხდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ურთიერთობებშიც. საერთო მტრის წინააღმდეგ მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის გამოცდილებას ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელებისათვის, ამიერკავკასიის სხვა ხალხებისათვის უნდა ეკარნახა ერთადერთი სწორი და უალტერნატივო მოქმედება — მტკიცე მუშტად შეკრულიყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. იმედი გაეცრუებინათ „გათიშე და იბატონეს“ იმპერიალისტური პოლიტიკის გამტარებლებისათვის. ვაი, რომ ასე არ მოხდა. ამ მწარე გამოცდილებიდან ამიერკავკასიის ბრძენმა ხალხებმა სამომავლო გაკვეთილები უნდა გამოიტანონ ამჯერად მაინც.

ამოგვარად, ტენდენციურობას ვერ დაგვწამებენ, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ყოველნაირად ცდილობდა ისტორიული სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებისა მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობა, მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა ყველა სადავო სასაზღვრო საკითხი. საქართველო არასოდეს არ გამოსულა მეზობლებთან შეიარაღებული კონფლიქტის პირველ დამწყებად. როცა იგი იარაღს მხოლოდ მაშინ მიმართავდა, როცა საკითხის მოგვარების მშვიდობიანი მეთოდები ამოიწურებოდა და წინაპართა სისხლით მორწყულ ქართულ მიწას დაკარგვის, მიტაცების, საქართველოდან მოკვეთის რეალური საფრთხე ემუქრებოდა, ან კიდევ, როცა მტრის თავდასხმის მოგერიების აუცილებლობა დგებოდა. აქვე დავძენთ, რომ სწორედ ისტორიული საზღვრების აღდგენისა და დაცვა-შენარჩუნებისათვის ზრუნვა ართულებდა საქართველოს საგარეო პოლიტიკას, სწორედ იგი განაპირობებდა დაძაბულობას მეზობელ ქვეყნებთან, რომლებიც სხვადასხვა პრინციპით უდგებოდნენ ყველა ხალხისთვის წმიდათაწმიდას — ისტორიული საზღვრის, ეროვნული ტერიტორიის დადგენის საკითხს. ამ საკითხის მოგვარებას ისიც ართულებდა, რომ ისტორიული სამართლიანობა და ამა თუ იმ ტერიტორიაზე მცხოვრებთა ეთნიკური შემადგენლობა (ფაქტობრივი მდგომარეობა) დამპყრობთა კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად ერთმანეთს არ შეესაბამებოდა.

დასასრული. დასაწყისი იხ. № 60.

კონტაქტები

# ესპანურ-ბასკური კლუბი თბილისში

პირენეის ნახევარკუნძული, ანუ დასავლეთის იბერია დიდი ხანია იზიდავს ქართველ კაცს. საიდუმლოებით მოცული ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა თავისთავად ქმნის ასეთ განწყობილებას. ჯერ კიდევ XI ს-ში მამა იოანე „ივლტოდა შპანიად, რამეთუ ასმიოდა, არა მცირედნი ერნი და ნათესავნი ქართველთა მკვიდრ არიან მუნ“.

ამ მართლაც და „მსოფლიო მნიშვნელობის“ (აკადემიკოსი შიშმარევი) პრობლემის შესწავლა წარმატებით მიმდინარეობს საქართველოში.

ესპანურ-ბასკური კლუბის დაარსების იდეა რამდენიმე წლის წინათ დაიბადა, მაგრამ მრავალი ობიექტური მიზეზის გამო ეს კეთილშობილური ჩანაფიქრი არ განხორციელდა...

კლუბის დაარსებისათვის ბრძოლა ამით არ დამთავრებულა, მოსამზადებელი სამუშაოები გრძელდებოდა და როდესაც თბილისის აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის კლინიკურ საავადმყოფოსა და ბილბაოს „კრუზეს“ საავადმყოფოებს შორის დაიდო ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, ამ იდეას ხორცი შეესხა.

საქმე ის გახლავთ, რომ ხელშეკრულებაში, რომელსაც ხელს აწერენ აღნიშნულ საავადმყოფოთა მთავარი ექიმები, ბატონები დავით ცქიტიშვილი და ინიგო ზაკა არისალაბაგა, ერთ-ერთ მუხლად გათვალისწინებულია, ხელი შეუწყონ თავთავიანთ ქვეყანაში კულტურული ცენტრების დაარსებას.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მოხდა ჩვენი შეხვედრა ბატონ დავითთან და ამ შეხვედრიდან ცოტა ხნის შემდეგ თბილისში ოფიციალურად დაიწყო ფუნქციონირება ესპანურ-ბასკურმა კლუბმა „იბერიკამ“, რომლის გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ბ-ნი დავით ცქიტიშვილი, მრავალმხრივ განათლებული პიროვნება და შესანიშნავი მამულიშვილი.

„იბერიკას“ მთავარი მიზანია, შეუქმნას ბაზა საქართველოში ბასკოლოგიისა და ესპანისტიკის შემდგომ განვითარებას, ხელი შეუწყოს აღნიშნულ დარგებში მომუშავე მეცნიერებს, პროპაგანდა გაუწიოს ესპანეთისა და ბასკეთის ისტორიასა და კულტურას და იზრუნოს აღნიშნულ რეგიონთან ეკონომიკური კავშირებისათვის.

კლუბის დაარსებას დადებითად გამოეხმაურნენ ესპანეთშიც. ქართმოდ, ქალაქ ბილბაოს მერმა ბატონმა კარლოს გარაიკოეჩეამ უკვე დააყენა საკითხი ანალოგიური ქართული კულტურის ცენტრის დაარსების შესახებ და ბრძანება გასცა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში შესაფერისი შენობის გამოყოფის თაობაზე.

რაკი ბატონი გარაიკოეჩეა ვახსენე, არ შემიძლია თითქმის სიტყვა არ ვთქვა თბილისის პრეფექტზე, ბატონ ირაკლი ანდრიაძეზე. ბატონი ირაკლის ყურადღება და ყოველგვარი დახმარება ჩვენს მიმართ მართლაც დიდია. ბევრი პრობლემური საკითხი პირადად მისი უშუალო ჩარევით მოგვარდა. იმედი გვაქვს მომავალშიაც გაგრძელდება ჩვენი ნაყოფიერი თანამშრომლობა ბატონ ირაკლისთან.

რაც შეეხება „იბერიკას“ უახლოეს გეგმებს:

მალე შემუშავდება კლუბის წესდება, საბოლოოდ ჩამოყალიბდება სტრუქტურა და სამუშაო გეგმა. უახლოეს დღეებში გაიმართება გამგეობის სხდომა.

„იბერიკას“ მუშაობაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს თვალსაჩინო მეცნიერებმა (ბატონები რ. გორდეზიანი, ი. ზიცარი, ი. ტაბაღუა, ქალბატონი გ. ჩანტლაძე), რაც უდიდესი სტიმულია იმისა, რომ კლუბმა დასახული მიზნები განახორციელოს.

დასასრულ, მინდა აღვნიშნო ერთი ფაქტიც — სადაცაა დავასრულებთ ქართული ... საბაუბროს, რომელიც ესპანეთში გამოიცემა. ამაზე შეთანხმება უკვე მიღწეულია. ვამზადებთ მასალებს ბასკეთის ტელევიზიისათვის საქართველოს შესახებ, რომელსაც, ალბათ, მთელი ესპანურენოვანი სამყარო იხილავს და იმედი გვაქვს, ცოტათი მაინც აღვუდგებით წინ იმ დეზინფორმაციის ნაკადს, რომელსაც ჩვენი ერის წინააღმდეგ ავრცელებენ.

**ვადიმან ბიწაძე**
**კლუბის გამგეობის წევრი**

# სხვა გაზეთებიდან

**რამდენნი ვიქნებით**

ამერიკის ხალხთაგანსახლების ბიუროს ცნობით, ამჟამად პლანეტის მოსახლეობა 5 მილიარდ 384 მილიონ ადამიანს შეადგენს („არგუმენტი ი ფაკტი“ № 20). მეცნიერთა გაანგარიშებით, ყოველ 11-13 წელიწადში დედამიწის მოსახლეობა 1 მილიარდით გაიზრდება, ხოლო XXII საუკუნის დამდეგიდან ეს ზრდა შეჩერდება. ვარაუდობენ, აგრეთვე, რომ მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით 2025 წლისათვის პირველ ოთხეულში შევლენ ჩინეთი (1 მილიარდ 590 მილიონი), ინდოეთი (1 მილიარდ 365 მილიონი), სსრკ (362 მილიონი) და აშშ (333 მილიონი).

**საბჭოთა „ტურისტები“ — პოლონეთში**

პოლონური „შტანდარტ მლოდიხ“-ის პროგნოზით, წელს პოლონეთს 6 მილიონი საბჭოთა „ტურისტი“ ეწვევა, რომლებიც თავიანთი „კომერციული საქმიანობის“ შედეგად ქვეყნიდან 1,2 მილიარდ დოლარს გაიტანენ („არგუმენტი ი. ფაკტი“, № 20).

**ნიკოტინის ახალი ლახვარი**

ბოსტონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ნიკოტინის ზემოქმედებაში კიდევ ერთი სავალალო შედეგი აღმოაჩინეს.

ახალგაზრდა და საშუალო ასაკის 195 მამაკაცის გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ დღეში ერთი კოლოფი სიგარეტის მოწევა 5 წლის შემდეგ 15 პროცენტით, ხოლო 20 წლის შემდეგ 60 პროცენტით ზრდის... იმპოტენციის რისკს („ტრუდი“ № 121).

**ერთი ნახვით შეყვარება ძალაშია**

ეს კიდევ ერთხელ დაადასტურეს 84 წლის სიდნეელმა დიდლი რეიდმანდა 102(!) წლის შოტლანდიელმა მინი მანროუმ. ისინი პირველად სიდნეის დიდ სტაციონარში შეხვდნენ და, როგორც იტყვიან, ერთი ნახვით შეუყვარდათ ერთმანეთი. თუმცა, ჩანს მაინც ძნელია მათ ასაკში გადაწყვეტილების მიღება, რადგან დიდლი რეიდმა მხოლოდ ნაცნობობის მეორე წელს გაბედა სატრფოს ხელის თხოვნა („პრავდა“, № 127).

# კოლექტივსაც შევეკითხოთ

რედაქციაში წერილი მოვიდა, გაზრდილი თბილისის უმაღლესი კომერციული კოლეჯის (ყოფილში საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის) პედაგოგები და მოსწავლეები, გვთხოვდნენ დახმარებას და თანადგომას... თუმცა ყველაფერი რომ ნათელი იყოს, თავიდან დავიწყოთ:

1989 წლის 7 ივლისს ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში, დოდო შუბითიძე გაათავისუფლეს თანამდებობიდან ტექნიკუმში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ჩაშლის, კოლექტივში არაჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნის, მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობისა და არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენისათვის, ხოლო ტექნიკუმის დირექტორი ბორის კოტრიკაძე თანამდებობიდან საპენსიო ასაკთან დაკავშირებით განთავისუფლდა. ეს გადაწყვეტილება კოლექტივმა გამოიტანა. თითქოს გასარკვევი, სადაო და, მით უფრო, საჩივლელი არაფერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმ დღიდან მოყოლებული, არ დარჩენილა ინსტანცია თუ დაწესებულება, სადაც ქალბატონ დოდოს საჩივრით არ მიემართოს.

სხვის განსჯას არ ვაპირებ, არც მტყუან-მართლის გარჩევას. ეს ჩვენს კომპეტენციას სცილდება, უბრალოდ იმ სიტუაციებზე მინდა მოკლედ მოგითხროთ, რაც იმ, 1989 წლის 7 ივლისის შემდეგ დატრიალდა აღნიშნულ ტექნიკუმში. იქნებ იფიქროთ, არაა ეს საჭირო, ასეთი პრობლემები ადგილზე უნდა გადაიჭრას, კოლექტივში უნდა მოგვარდესო, მაგრამ მსგავსი სიტუაციები დღეს ბევრ სასწავლებელსა თუ სკოლაშია, როცა პედკოლექტივი თუ მოსწავლეები გარკვეული მიზეზების გამო უარს ეუბნებიან პიროვნებას და აღარ სურთ მასთან თანამშრომლობა. აქვე გვინდა დიდი ბოდიში მოვუხადოთ თავად ქალბატონ დოდოს, ასე ფართო სამსჯავროზე რომ ვამზეურებთ ყოველივეს, მაგრამ როგორც მთელმა კოლექტივმა გვითხრა, ბოლო არა აქვს მის საჩივრებს, როგორც მასწავლებლები ამბობენ, ცილისწამებებს.

ჩემს წინ ახლა ორი სქელტანიანი საქაღალდე დევს. აქ ინახება ყველა იმ დოკუმენტის ასლი, რომელიც აღნიშნული კონფლიქტის გამო სავაჭრო ტექნიკუმიდან გაიგზავნა სხვადასხვა ინსტანციაში. ორი წლის მანძილზე არაერთი განცხადება, ახსნა-განმარტება, მოხსენებითი ბარათი, აქტი, ოქმი, ცნობა გაეგზავნა რესპუბლიკის მაშინდელ ხელმძღვანელს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს გივი გუმბარიძეს, აგრეთვე — განათლების მინისტრს გ. ენუქიძეს, პარტიის ლენინის რაიკომის პირველ მდივანს კ. გუჯაბიძეს, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორს ა. იოსელიანს, გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორს ნ. ჩერქეზიშვილს, განათლების სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველოს უფროსს ა. ჭაპიას, სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს მ. კობახიძეს, რესპუბლიკის პროკურორს ვ. რაზმაძეს, თბილისის ნაძალადევის რაიონის პროკურორს ა. მეშველიანს, რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს ლ. საძაგლიშვილს, თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ბ. მახარაშვილს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ჭითანავას, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ო. ჩერქეზიას, საქართველოს პროფკავშირების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს პ. ჩხეიძეს. ვფიქრობთ, არავინ გამოგვრჩენია არც ჩვენ და არც გაუთავებელი კონფლიქტით გულგაწვრილებულებს. დავიღალეთ — მეუბნებიან სასოწარკვეთილი პედაგოგები — დავიღალეთ და კონფლიქტი, მაბეზღრობა, ცილისწამება დრო და დრო ისევ გრძელდება; გვეყო, რაც დაძაბულ ატმოსფეროში ვიმუშავეთ...

მიუხედავად კოლექტივის ასეთი განწყობილებისა, ახალი დირექტორი გურამ თავართქილაძე გარკვეულ კომპრომისზე წავიდა და ყოფილ სასწავლო ნაწილის გამგეს, დოდო შუბითიძეს პედაგოგად მუშაობის ნება მისცა, ვინაიდან კარგად არც კონფლიქტის ისტორია იცოდა და არც აღნიშნულ პიროვნებას იცნობდა. ამიტომ, 1989 წლის 25 დეკემბერს, როდესაც დოდო შუბითიძე ტექნიკუმს მოადგა, პედაგოგებმა და მოსწავლეებმა მას კარი გადაუკეტეს და აღნიშნული ფაქტის გამო ახსნა-განმარტებითი ბარათი გაუგზავნეს მაშინდელი ლენინის რაიონის ხელმძღვანელებს, თან აფრთხილებდნენ, რომ დოდო შუბითიძეს არც მომავალში დაუშვებდნენ ტექნიკუმში. ახსნა-განმარტებას ორმოცდაათამდე პედაგოგი და მოსწავლე აწერდა ხელს... ამით განაწყენებული დოდო შუბითიძე კვლავ ჩივილის გზას დაადგა. ცდილობდა, ყოველმხრივ ხელი შეეშალა სასწავლო პროცესისათვის, ტექნიკუმიდან გაიტაცა 33 მოსწავლის პირადი საქმე, რომლის დაბრუნებასაც რაიონის მილიციის აქტიური ჩარევა დასჭირდა.

1989 წლის 16 ნოემბერს ტექნიკუმში ჩატარდა კრება, სადაც სიტყვით გამოსულმა „წმიდა ილია მართლის" საზოგადოების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოს სახალხო ფრონტს და ილია მართლის საზოგადოებას განცხადებით მიმართეს დ. შუბითიძემ და ბ. კოტრიკაძემ, რომ ისინი უკანონოდ გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან და აღდგენას მოითხოვენ. ბევრი ინხვეულების, არაერთი პედაგოგი გამოთქვამ აზრს, შემდეგ, შემოწმების შესაბამისად დადგენილება გამოიტანეს: 1. კოლექტივის უმეტეს წევრის ურის აქტიურ გავათლების ჩატარებაზე თუ ტექნიკუმში კოტრიკაძე და შუბითიძე დაბრუნდებიან, 2. ეთხოვოს საქართველოს სახალხო ფრონტის რაიონ გამოყოფილ კომისიას გამოიკვლიოს სიმართლე, საბოლოოდ დაადგინოს ჭეშმარიტება და შედეგი ეცნობოს შესაბამის ინსტანციებს.

დადგენილებას ხელს სამოცდაათამდე მასწავლებელი აწერს.

„წმიდა ილია მართლის" საზოგადოების წევრების იურისტ რ. დობორჯგინიძისა და კრიმინალისტ დ. საჯაიას მოხსენებით ბარათში ვკითხულობთ:

„ბ. კოტრიკაძისა და დ. შუბითიძის ტექნიკუმში მუშაობის ბოლო პერიოდში განათლების სამინისტროს საინსპექტორო ჯგუფმა სხვა უამრავ დარღვევათა შორის აღნიშნა შემდეგი:

1. ტექნიკუმში არის შემთხვევები, როდესაც რამდენიმე საგანში დავალიანების მქონე მოსწავლეები გადაყვანილნი არიან მომდევნო კურსზე.

2. მოსწავლეების სხვადასხვა სპეციალობებზე განსხვავებული საგნების ჩაბარების გარეშე არიან გადაყვანილი.

3. აბიტურიენტების: არუთინოვას, მაზმანოვას, მსტოიანის, ხიმჩიანის საგამოცდო წერით ნამუშევრებში ქართულ ენასა და ლიტერატურაში არაა აღნიშნული დაშვებული უამრავი შეცდომა და ამიტომ ნამუშევრები შეფასებულია სამიანზე.

4. ერთ-ერთი აბიტურიენტის თემა სრულებით არ უპასუხებს სათაურს, — ნაცვლად ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა, საუბარია დ. გურამიშვილის დიდაქტიკურ მოტივზე. ნაშრომი დადებითადაა შეფასებული.

ამგვარმა „ინტერნაციონალურმა" სულისკვეთებამ ტექნიკუმში საგრძნობლად გაზარდა არაქართული კონტიგენტი. უმრავლესობა საერთოდ არ ფლობს ქართულ ენას, არა და პრეტენზიას აცხადებენ მაღალ ნიშნებზე, თუმცა საბედნიეროდ სწავლება ყველა საგანში ქართულ ენაზეა. ნუთუ აუცილებელია, ყველა სავაჭრო ობიექტს: თათარი, სომეხი, ოსი და რუსი ხელმძღვანელობდეს. აღნიშნული ვაჭრობის ტექნიკუმი კი მათ ამის შესაძლებლობებს აძლევდა.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ ტექნიკუმში მისაღები გამოცდები ტარდებოდა ყოვლად უპასუხისმგებლოდ და ზერელედ. ჩვენი მიერ განხილულმა აბიტურიენტთა მიღებისა და ჩარიცხვის მასალებმა ნათლად მეტყველებს ყოფილი ხელმძღვანელების კოტრიკაძის, შუბითიძისა და მიმღები კომისიის წევრის განსაკუთრებულ თვითნებობაზე..."

სხვა დარღვევებსა და დანაშაულობაზე საუბრით მკითხველს აღარ გადავღლით, თუმცა ერთს კი აღვნიშნავთ, ახალი დირექტორის სახელის გატეხის მიზნით, ბ. კოტრიკაძემ და დ. შუბითიძემ [illegible] გაზეთ „კავკასიის" რედაქცია, რომლის კორესპონდენტმაც არასწორ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოაქვეყნა სტატია, სადაც საუბარი იყო, თითქოს ახალი დირექტორი გურამ თავართქილაძე ნასამართლევია სახელმწიფო ქონების დატაცებისა და ბოროტი ხულიგნობისათვის. აღნიშნული შეცდომის გამო, გაზეთის კორესპონდენტმა სახალხოდ ბოდიშიც მოიხადა...

სხვა ცილისწამების, ბრალდების, დაბეზღების, ურთიერთწაკიდების ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება. ბევრს ლაპარაკობენ სასიყვარულო თავგადასავლებზეც... მაგრამ, მკითხველს ვერ შევაწყენთ ამ ისტორიის მგონი არცთუ უსაფუძვლო მოტივებზე საუბრით.

სავაჭრო ტექნიკუმის პედაგოგთა გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაზეთ „ზარია ვოსტოკას" 16 თებერვლის ნომრიდან შეიტყვეს, რომ დოდო შუბითიძე სახალხო ფრონტის პედაგოგთა ასოციაციიდან, ხაშურის რაიონის ერთ-ერთ საარჩევნო უბანში უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად იყო დასახელებული. როგორც შემდეგ გაირკვა, კვლავ სიყალბე იყო ჩადენილი, რამეთუ 19 თებერვალს სახალხო ფრონტის გამგეობის სხდომაზე ბატონმა ნოდარ ნათაძემ აღნიშნა, რომ პედაგოგთა ასოციაცია სახალხო ფრონტში არ შედიოდა. რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ტექნიკუმის 45 პედაგოგის ხელმოწერით წარედგინა განცხადება, რომელშიც ნათქვამია — მიგვაჩნია, რომ დოდო შუბითიძის დეპუტატობა კი არა, არამედ დეპუტატობის კანდიდატად დასახელებაც კი დიდი დანაშაულია ერის წინაშე.

თუმცა უფრო შემაშფოთებელი შემთხვევა წინ იყო.

ახლახანს ტექნიკუმში განათლების სამინისტროდან ბრძანება მოვიდა (№ 40/კ. 1991. 02. 04) დ. გ. შუბითიძის აღდგენის შესახებ. მასში აღნიშნულია, რომ „გაუქმებულ იქნეს სახალხო განათლების სამინისტროს 1989 წლის 7 ივნისის № 308/კ ბრძანება, როგორც კანონსაწინააღმდეგო. აღდგენილ იქნეს თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის ყოფილი დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში [illegible] შუბითიძე [illegible] (კოლეჯის) დირექტორის მოადგილედ სასწავლო მუშაობის დარგში 1991 წლის 29 მარტიდან და აუნაზღაურდეს ხელფასი სამი თვის იძულებითი გაცდენისათვის.

საფუძველი: დ. გ. შუბითიძის პირადი განცხადება, საქართველოს სსრ პროკურატურის 25. 05. 90 წ. № 7 531--90 და 31. 11. 90 წ. № 7531-89 წერილები. მინისტრი ლ. ანდღულაძე".

ხელახლა ნერვების წყვეტა, განცხადებების წერა, რომ დაუშვებელია, რომ უმართებულოა, რომ კვლავ შეცდომაში შეიყვანეს მაჯანნი და მავანნი. კვლავ იმის განმეორება, რომ ეს უკანასკნელია, რომ ამაზე საუბარი აღარ უნდა იყოს, რომ ქალბატონ დოდოს ვერ მიიღებენ ძველ სამსახურში, ბოლოს და ბოლოს ადამიანებს ხომ უნდა მიეცეთ ნორმალური მუშაობის საშუალება.

დღეს ტექნიკუმში, ამჟერად კომერციულ კოლეჯში, ჯანსაღი ატმოსფეროა, კოლექტივმა შვებით ამოისუნთქა, ბევრი სასიკეთო საქმეც გაკეთდა, ბევრ კარგ წამოწყებას დაედო სათავე, — სოფელ სამღერეთში მონასტრის აღდგენის სამუშაოებშიც იღებენ მონაწილეობას, მალე დაიწყება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიის სწავლება. ახლა კოლეჯის მოსწავლეები საჩხერეში მორიგეობით მიდიან აღდგენით და სამშენებლო სამუშაოებზე, ნაწილი აეროპორტში მორიგეობს ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მსურველთა მიერ გამოგზავნილი ტვირთის მისაღებად და სხვა.

დასასრულს კი ერთ-ერთი მოხსენებითი ბარათიდან (რომელსაც „წმიდა ილია მართლის" საზოგადოების წევრები, იურისტი რ. დობორჯგინიძე და დ. საჯაია აწერენ ხელს) მინდა მოვიყვანო ნაწყვეტი:

„კომერციული კოლეჯის ახალი ხელმძღვანელობის პოზიციები, სასწავლო აღმზრდელობით დარგში ერთიანი ძლიერი სტრუქტურების განვითარება, ეროვნულ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა, გვარწმუნებს იმაში, რომ მომავალში, აღნიშნული კოლეჯის სახით, შესაძლოა შევქმნათ მძლავრი ეროვნული ტიპის სასწავლებელი.

რაც შეეხება ტექნიკუმის ყოფილ დირექტორს ბ. კოტრიკაძეს და ყოფილ სასწავლო ნაწილის გამგეს დ. შუბითიძეს, მათ კოლექტივი არ სცნობს, ისინი მიაჩნიათ კორუმპირებულ პირებად და მიზანშეუწონლად თვლიან მათ პედაგოგებად დაბრუნებას აღნიშნულ კოლექტივში..."

**ნინო კვაჭანტირაძე**

# ანტისაოკუპაციო მოძრაობა

1991 წლის 30 მაისს, ხუთშაბათს, საქართველოს დედაქალაქში, შოთა რუსთაველის მოედანზე გაიმართა მანიფესტაცია ანტისაოკუპაციო მოძრაობის საინიციატივო ცენტრის ხელმძღვანელობით. მიტინგზე წაკითხულ იქნა ანტისაოკუპაციო მოძრაობის დეკლარაცია. სიტყვებით გამოვიდნენ კახა დევდარიანი, გურამ გოგიაიძე, ირაკლი ბათიაშვილი და ირაკლი წერეთელი.

მანიფესტაცია შოთა რუსთაველის მოედნიდან დაიძრა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბისაკენ, სადაც აგრეთვე ჩატარდა მიტინგი. შტაბის წინ სიტყვებით გამოვიდნენ ირაკლი წერეთელი და ბესიკ ბაიდოშვილი.

მანიფესტაციაზე წაკითხულ და მიღებულ იქნა მიმართვა სსრ კავშირის პრეზიდენტისა და [illegible] კავშირის უზენაესი საბჭოსადმი.

სსრ კავშირის პრეზიდენტს
[illegible] გორბაჩოვს
სსრ კავშირის უზენაესი
საბჭოს თავმჯდომარეს
ა. ი. ლუკიანოვს
სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს

ანტიაოკუპაციო მოძრაობის საინიციატივო ცენტრისა და საქართველოს დედაქალაქში 1991 წლის 30 მაისს გამართული სა[illegible] მანიფესტაციის მონა[illegible]

**მიმართვა**

საქართველოს ანტისაოკუპაციო მოძრაობის წარმომადგენლები და საქართველოს დედაქალაქში 1991 წლის 30 მაისს გამართული სახალხო მანიფესტაციის მონაწილენი მოგმართავთ რა რუსეთის საბჭოთა მოო[illegible] ნიზებულ იმპერიის სახელ[illegible] ნებს, ქართველი ერის მრავალგზის გაცხადებული ნებიდან და მისწრაფებიდან გამომდინარე, კატეგორიულად მოვითხოვთ თქვენგან ისეთი კონკრეტული ღონისძიებების გატარებას, რომელთა რეალიზაციას შედეგად მოჰყვება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

ვინაიდან საქართველო მოცემულ ეტაპზე წარმოადგენს რუ[illegible]ის საბ[illegible] [illegible]ირნიზებუ[illegible] სსრ კავშირის მიერ ოკუპ[illegible]ბულ და ანექსირებულ ქვეყანას;

ვინაიდან საქართველოს მიმართ, განხორციელებული ო[illegible] პაცია და ანექსია არის აშკა[illegible] შეიარაღებული [illegible] დენად საერთაშორისო დანაშაული, ჩადენილი იურიდიული თვალსა[illegible] [illegible] არსებუ[illegible] [illegible] ცნობილი საქართველოს რესპუბლიკის მიმართ, ჩვენ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ერთადერთ აუცილებელ და გარდაუვალ პირობად მიგვაჩნია საქართველოს მიმართ განხორციელებული სამოცდაათწლიანი შეიარაღებული საბჭოთა აგრესიის აღკვეთა, რაც ითვალისწინებს საქართველოს სრულ და უპირობო დეოკუპაციასა და საქართველოდან სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების გადატანას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მოვითხოვთ:

ა) საქართველოდან საოკუპაციო ჯარების — სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, სასაზღვრო, შინაგანი და სარკინიგზო ჯარების სრული შემადგენლობით გაყვანას.

ბ) საქართველოს მთლიანი ტერიტორიული შემადგენლობიდან სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების გადატანას.

[illegible]
31-49.
[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გახსენება

უკვე წელიწადია, აღარ არის ჩვენს შორის ერთი კოლორიტული კაცი — ზურაბ გაბუნია. ლიტერატორთა წრეში იგი კარგად იყო ცნობილი. ფართო საზოგადოება კი დღემდე ნაკლებად იცნობს.

ბატონი ზურაბი მკვიდრი თბილისელი იყო. უმაღლესი განათლება მოსკოვში მიიღო. შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს და ათწლეულების მანძილზე მასწავლებლობდა სხვადასხვა სკოლებში. თავდავიწყებით იყო შეყვარებული პოეზიაზე. ზეპირად იცოდა ქართული ლირიკის თითქმის მთელი ოქროს საგანძური. შესანიშნავად იცნობდა ჩვენი პოეზიის რუსულ თარგმანებსაც და გულს უკლავდა ამ თარგმანთა აბსოლუტური უმრავლესობის დაბალი დონე. ამიტომ უკვე მოწიფულ ასაკში თავად სცადა ქართველ პოეტთა რუსულად ამეტყველება. თარგმნიდა რუსულიდანაც, სომხურიდანაც.

ზურაბ გაბუნიას თარგმანები სამოცდაათიანი წლების მიწურულიდან დროდადრო იბეჭდებოდა პრესაში. ორი თხელი კრებულიც გამოსცა. სპეციალისტთა აზრი მის თარგმანებზე იმთავითვე პოლარულად გაიყო. ამ სტრიქონთა ავტორები სთვლიან, რომ ზურაბ გაბუნიას მრავალი თარგმანი უმაღლეს დონეზეა შესრულებული. თუმცა ჩვენს აზრს თავს არავის ვახვევთ.

ბატონმა ზურაბმა საკმაოდ ძნელი ცხოვრება განვლო. განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, როცა ავადმყოფობამ დარია ხელი. უჭირდა სამსახურში სიარული, უჭირდა თარგმნა. და მაინც უსასრულოდ, საოცრად ემოციურად შეეძლო ელაპარაკა საკუთარ თარგმანებზე, საერთოდ პოეზიაზე. იგი მუდამ გულახდილად გამოსთქვამდა თავის აზრს ყველა საკითხის, ყველა პოეტის შესახებ და, ბუნებრივია, მრავალი მტერი შეიძინა.

წლეულს სამოცი წლისა გახდებოდა ზურაბ გაბუნია. ამ დღეებში შესრულდა მისი გარდაცვალების წლისთავი.

აქვე გთავაზობთ რუს პოეტთა ზ. გაბუნიასეულ თარგმანებს.

**ლევან ბრეგაძე,**
**თემურ მირიანაშვილი**

## ალექსანდრ პუშკინი

### ზამთრის საღამო

ქარი ჯანღით ფარავს ზეცას,
თოვლით ავსებს არემარეს,
ხან ილმუვლებს როგორც მხეცი,
ხან ბავშვივით ტირის მწარედ.
ხან ხმაურობს სახურავზე,
აშრიალებს ისლის საფარს,
ხან გვიანი მგზავრის მსგავსად
უკაკუნებს ფანჯრის რაფას.

ქოხში შუქი არ ანთია,
ობლადა დგას მოწყენილი,
ფანჯარასთან თვლემს, გადია,
მორევია მოხუცს ძილი.
იქნებ, კარგო, ძალას გართმევს
ყურწამღები სტვენა ქარის,
ან თვლემაში ატან დარდებს
ბზუილს შენი თითისტარის.
შევსვათ, ძიძავ, საყვარელო,
მეგობარო ყრმობის დღეთა,
მწუხარება გავინელოთ,
გავიქარვოთ გულის სევდა.
თან მიმღერე ცხრა ზღვას იქით
ჩიტი ბუდეს რთავდა როგორ,
ან ვით ადრე, სისხამ დილით
მიდიოდა წყალზე გოგო.
ქარი ჯანღით ფარავს ზეცას,
თოვლით ავსებს არემარეს,
ხან ილმუვლებს როგორც მხეცი,
ხან ბავშვივით ტირის მწარედ.
შევსვათ, ძიძავ, საყვარელო,
მეგობარო ყრმობის დღეთა,
მწუხარება გავინელოთ,
გავიქარვოთ გულის სევდა.

## მიხეილ ლერმონტოვი

### ფიჭვი

შიშველ ფერდობზე დგას
ჩრდილოეთში
ფიჭვი შთენილი მარტოდ,
თვლემს და ირხევა ზეცად ასული
თეთრი ფანტელი ათოვს
და ესიზმრება: უდაბნოეთში
მზით გადარუჯულ მხარეს,
პიტალოს მკერდზე ფიქრში
წასული,
ლამაზი პალმა ხარობს.

## ალექსანდრ ბლოკი

### ქალიშვილი სპოლეტოდან

ეკლესიის სანთელსა ჰგავს შენი
ტანი,
შენს მზერაში კრთის ხანჯლების
ელვარება,
ღირსი არ ვარ შენთან ნეტარ
პაემანის,
ვითარც ბერი, თავს დავიწვავ
დამრთე ნება.

არ მოვითხოვ ბედს სანატრელს,
ხვევნას, ალერსს,
რომ შეხებით არ წავბილწო
წმინდა გრძნობა,
ვით მხატვარი ლობის მიღმა
გითვალთვალებ,
ყვავილს რომ კრეფ, — და
მიღვივის გულში ტრფობა.

ქარის ფრთები ჩემგან გდევნის
უცხო გზაზე,
მზის სხივები გწვავს — მარია!
— და მე მჯერა,
რომ ქერუბიმს დავინახავ
ლაჟვარდ ცაზე
და უმეს წამებს გათვლის გულის
ძგერა.

კულულებში მსურს ჩაგიწნა
აკინძული,
ძვირფას ლექსთა ალმასები
საარაკო
და ეს გული სიყვარულით
გათანგული,
შენს თვალების ცისფერ ტბაში
გადავკარგო.

# სხვა გაზეთებიდან

### რა მოელის კაცობრიობას

ამერიკული ფოტუროლოგიური ორგანიზაციის „მომავლის მსოფლიო საზოგადოება" სპეციალისტებმა მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების გაანალიზების შემდეგ დაასკვნეს, თუ როგორი იქნება ადამიანთა საზოგადოება მომავალი საუკუნის დამდეგს.

ელექტრონიკაში შეიქმნება ხელსაწყოები, რომლებიც ტელევიზორს, საბეჭდ მანქანას, სამზარეულო კომბაინს და ა. შ. მათი მფლობელის სურვილებს გადასცემენ. ახალ ტელევიზორებს ექნებათ მრავალმიზნობრივი გამოსახულებების ეფექტი, როცა, მაგალითად, საშუალება გექნება ერთდროულად კინოფილმსაც უყურო და შვილების ძილსაც ადევნო თვალ-ყური.

საავტომობილო მშენებლობაში ფართოდ გამოიყენებენ მიკრო ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებს, რომლებიც მძღოლს მოძრაობის მარშრუტის სწორ შერჩევაში დაეხმარებიან და გააფრთხილებენ საშიშროების შემთხვევაში. დაიწყება ელექტრომობილებზე გადასვლა. მანქანების ალჭურვილობა, ფაქტობრივად, გამორიცხავს გარემოს დაბინძურებას.

მოდის აქტიურად მიმდევარ ქალებს შეეძლებათ ისეთი ქსოვილების შეძენა, რომლებიც ყოველი გარეცხვისას შეიცვლიან ფერს, აგრეთვე, სუნამოებისა, რომლებიც განწყობილებასა და პოტენციაზე იმოქმედებენ. ქირურგები კი ისეთ სახეს „დაგიყენებენ", როგორსაც შეუკვეთავთ („რაბოჩაია ტრიბუნა", № 96).

### სსრკ მეთაური რომ გახდე...

ამისათვის არაფერი არ არის საჭირო, — ამბობს აკადემიკოსი ჩაზოვი („მედიცინსკაია გაზეტა", № 18), რომელიც სსრკ ისტორიის სულ უახლოეს წარსულს იხსენებს.

ჩვენ, — ამბობს იგი, — 16 წლის მანძილზე ვახერხებდით ი. ანდროპოვისათვის (მას სერიოზულად ჰქონდა თირკმლები დაავადებული) შრომისუნარიანობისა და აქტიურობის შენარჩუნებას... მესმის, რომ ის ნამდვილად განათლებული და ნიჭიერი ადამიანი იყო (ცხადია, ჰქონდა ნაკლოვანებებიც) და უთუოდ ბევრი რამის გაკეთებას შეძლებდა, ქვეყნის ხელმძღვანელად 70-იან წლებში რომ მოსულიყო, მაგრამ ხელმძღვანელობის და ამდენად ქვეყნის ბედიც ისე წარიმართა, რომ ანდროპოვი მხოლოდ 1982 წლის ბოლოს ჩაუდგა ქვეყანას სათავეში. ამ დროისათვის კი ჩვენი შესაძლებლობები ამოწურული იყო.

სტუდენტი რომ გახდე, აუცილებელია ჯანმრთელობის ცნობა, ჯარისკაცი რომ გახდე, მედკომისიის დასკვნა, ქვეყნის მეთაურობისთვის კი... არაფერი არ არის საჭირო. — ასკვნის აკადემიკოსი ჩაზოვი.

### კალუგინის ახალი განცხადება

ბულგარეთმა ოფიციალური თხოვნით მიმართა საბჭოთა კავშირს, დაკითხოს სუკის ყოფილი გენერალი ოლეგ კალუგინი ე. წ. ბულგარული ქოლგების საქმის გამო. ერთ-ერთი ასეთი ქოლგის მოწამლული წვეტით 1978 წელს ლონდონში მოკლეს ცნობილი ბულგარელი დისიდენტი გიორგი მარკოვი. გენერალმა კალუგინმა საჯაროდ აღნიშნა ამ საქმესთან საბჭოთა სპეცსამსახურების კავშირის თაობაზე („არგუმენტი ი ფაკტი" № 19).

### რა „ღირს" საკავშირო სუკი

სსრკ უზენაესი საბჭოს ნებართვით საჯაროდ გამოცხადდა ინფორმაცია საკავშირო სუკის დღემდე საიდუმლოდ დაცული ბიუჯეტის შესახებ. საკავშირო სუკის საზოგადოებრივი კავშირების ცენტრის უფროსის, გენერალ-მაიორ ალექსანდრ კარბაინოვის განცხადებით, საკავშირო სუკისა და მისი სასაზღვრო ჯარების ბიუჯეტი 4,9 მილიარდ მანეთს შეადგენს.

კარბაინოვმა ხაზი გაუსვა, რომ სუკს საქმიანობის ახალი სფეროები დაემატა, კერძოდ: ბრძოლა ეკონომიკურ და ორგანიზებულ დანაშაულთან, მაგრამ ამის გამო მისი ბიუჯეტი არ გაზრდილაო. „კომსომოლსკაია პრავდა" (№ 119) კი აღნიშნავს, რომ ბიუჯეტის შესახებ ცნობაში არ არის მითითებული თუ რა სავალუტო სახსრები აქვს გამოყოფილი საკავშირო უშიშროების კომიტეტს და შედის თუ არა ამ თანხაში კომიტეტის სამეცნიერო გამოკვლევების ფინანსირების ხარჯები.

### „დაუხურდავებელი"... ლენინი

„ჟიჩე ვარშავი"-ს ცნობით, პოლონეთის წიგნის მაღაზიებში შეგიძლიათ შეიძინოთ ლენინის თხზულებათა სრული კრებული. კრებულის ერთი ტომი 4,5 ზლოტი ღირს (ცნობისათვის: პოლონეთში დღეს ტრამვაის ან ავტობუსის ბილეთის ღირებულება 1200 ზლოტია). შესანიშნავად გამოცემული ეს წიგნები პოლონეთში დღეს „ყველაზე გონებამახვილურ საჩუქრად" ითვლება. ოღონდ მაღაზიებში მათი ყიდვისას წამოგიყენებენ პირობას: „თქვენ სულ მცირე ორი ტომი მაინც უნდა შეიძინოთ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ხურდას ვერ დაგიბრუნებთ" („არგუმენტი ი ფაკტი", № 20).

## წერილი რედაქციას

# „ვინაც სული თვისი დასდვის მოყვასთათვის..."

ამას წინათ ერთი ჩემი კოლეგა „ახალგაზრდა ივერიელში" გამოქვეყნებულ სტატიაში გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „ქუჩაში მიმავალ ტყავით შემოსილ ადამიანში უკვე პოტენციურ მოკლულს ვჭვრეტთ, ხოლო ვინც ტყავში არაა გახვეული — მკვლელს". და, რას წარმოვიდგენდი, რომ სულ მალე, დღისით, მზისით, თავად გავხდებოდი ძარცვის თუ ჩაფიქრებული მკვლელობის თვითმხილველი.

...შუადღე იქნებოდა, პროსპექტზე მიმავალს თვალში მომხვდა ახალგაზრდების ძიძგილაობა — ორი ბიჭი თანატოლ ჭაბუკს მკლავებში ჩაბღაუჭებოდა და სადღაც მიათრევდა. ბიჭი წინააღმდეგობას უწევდა, ისინი მაინც ექაჩებოდნენ. სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა არ მიყვარს, მაგრამ იმ ახალგაზრდას, რომელსაც ეძიძგილავებოდნენ, ტყავის ქურთუკი ეცვა და მე მასში „პოტენციური მოკლული" დავინახე. — ეს უკვე სხვისი საქმე აღარ იყო, ეს ჩემი საქმე იყო! ეს ყველას საქმე იყო!.. სასწრაფოდ უნდა დავხმარებოდი, მაგრამ როგორ?! ყველაფერს წამები წყვეტდა. გამვლელებს ვთხოვე მილიციაში დაერეკათ, მე კი იქვე დარჩენას ვაპირებდი, იქნებ რამენაირად მოვახერხო-მეთქი დახმარება, მაგრამ ყველა დაფრთხა და შემთხვევის ადგილს გაეცალა. ჩემი პირდაპირი ჩარევით არაფერი გამოვიდოდა, — გავიქეცი მილიციელის მოსაძებნად. ვერსად მივაგენი. ვრეკე და ვრეკე მილიციის განყოფილებაში, საუბედუროდ, არავინ აიღო ყურმილი.

ტაქსი გავაჩერე, მძღოლს ავუხსენი სიტუაცია და ჯერ შემთხვევის ადგილზე მიყვანა ვთხოვე, შემდეგ კი — მილიციაში.

...რომ მივედით, ისინი უკვე მოშორებით გასულიყვნენ და დანის წვერი მიებჯინათ ახალგაზრდისთვის. „მილიციაში წასვლას ველარ მოვასწრებთ" — ჩაილაპარაკა ტაქსის მძღოლმა და მანქანიდან გადახტა. ამასობაში დანის შიშით ტყავოსანმა ქურთუკი გაიხადა, — მძღოლი შიშველი ხელებით დააცხრა მძარცველებს და ტყავი გამოსტაცა, ისე ლონივრად მოიქნია ხელი, ერთი მათგანი მიწას განერთხო.

ხალხი შეიყარა. ერთბაშად აივსო ქუჩა. ისე კითხულობდნენ რა ამბავიაო, თითქოს მანამდე არავის დაენახოს, რაც ხდებოდა.

მძღოლმა დაზარალებული მანქანაში ჩაისვა და სახლში მიიყვანა.

რა ბედნიერებაა, რომ ცოდვით დამძიმებულ ჩვენს ტანჯულ მიწაზე კიდევ მოიძებნებიან ჭეშმარიტი ადამიანები! რა ბედნიერებაა, რომ გია გუჩაშვილის სახით საქართველოს კიდევ ერთი უდრეკი მეციხოვნე ჰყავს, უანგარო და თავდადებული. 25 წლის ახალგაზრდა მამამ საკუთარი სიცოცხლე სასწორზე შეაგდო თანამოძმის დასახმარებლად. ქრისტიანული მორალის თანახმად, ყველაზე დიდ მსხვერპლს ის გაიღებს ღმერთის წინაშე, „ვინაც სული თვისი დასდვის მოყვასთათვის".

საქართველოს უზენაეს საბჭოში ახლახან შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც გვერდში დაუდგება ყოველ დაჩაგრულს და იბრძოლებს სიმართლის გამარჯვებისათვის, მაგრამ რამდენი კომისიაც არ უნდა შეიქმნას და ამ კომისიებში რამდენი დადგენილე- [illegible] ...ლონ, თუ ხალხი, [illegible] არ დაეხმარება ერთმანეთს, თუ თავად არ დაიცავენ ერთმანეთის ღირსებას, ისე, მხოლოდ კომისიების მუშაობით, ფონს ვერ გავალთ.

**ნანა დავითაშვილი,**
**საქართველოს უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის სინდისისა და რელიგიის ქვეკომისიის წევრი.**

## გამოხმაურება

# კოლექტიური განცხადება

წავიკითხეთ 1991 წლის 9 მაისის გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და საგამომცემლო საქმის ქვეკომისიის თავმჯდომარის დეპუტ[illegible] ლოვარდ ტუხაშვილის „დროებითი დებულება" საქართველოს რესპუბლიკაში ფას[illegible] დაშვე[illegible]

[illegible]

ვახსია [illegible]
[illegible]ულად დღევანდელ პირო-ბებში; ფასიან სწავლებას ვუჭერთ მხარს, რადგანაც როგორც, სტატიაშია აღნიშნული, დღესდღეობით პრაქტიკულად ჩვენს ქვეყანაში უკვე არსებობს ფასიანი სწავლება. შექმნილია ფასიანი გიმნაზიები, კოლეჯები. ფასიანი სწავლების შემოღება არაფრით არ გამოიწვევს დაძაბულობას და ვითომდა უთანასწორობას, რადგანაც ფასიანი სწავლების პარალელურად ისევ იარსებებს უფასო უმაღლესი განათლება.

დღესდღეობით ხომ არსებობს ფასიანი სწავლების დიდი გამოცდილება საზღვარგარეთის მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში. გაიხსნა ფასიანი სასწავლებლები ბალტიისპირეთში, პრაქტიკულად ყველგან გაამართლა ამ ტიპის სასწავლებლებმა. დღეს საქართველოშიც არსებობს იმის რეალური პირობები, რომ გაიხსნას ასეთი სასწავლებლები.

არ არის დასამალი და ჩვენში ხომ ფესვები აქვს გადგმული რეპეტიტორობას. დღითიდღე იზრდება მათთვის გადასახდელი თანხის რაოდენობა, ინსტიტუტებში ფეხი აქვს მოკიდებული პროტექციონიზმს, რაც დამთრგუნველად მოქმედებს ახალგაზრდების ენერგიაზე. ფასიანი სწავლების შემოღებით მოისპობა ეს მახინჯი გამოვლინებები.

ამიტომ გთხოვთ, გაითვალისწინოთ მრავალრიცხოვანი აბიტურიენტების მოთხოვნა და როგორც ლ. ტუხაშვილის სტატიაშია ნათქვამი, „მოდით, ჩავატაროთ დიდი ექსპერიმენტი არსებული სახელმწიფო უფასო სწავლების პარალელურად დავნერგოთ ახალი წესებიც".

დაე, ცხოვრებამ თვითონ გადაამოწმოს თითოეული სისტემის ავკარგიანობა.

**ხელმოწერები: [illegible], მთდელაძე, ჯაველიძე, ქართველიშვილი, ფანჯიკიძე, გამყრელიძე, ლურსმანაშვილი, მერკვილაძე, ყიფიანი, ბაჩაჩილაძე, ხომეზური, გოგეჯიშვილი, ნებიერიძე, ბადრიძე, ახალკაციშვილი, აბრამიძე, გოგრიჭიანი, ჩიჯავაძე, აბულაშვილი, ცეცხლაძე და სხვები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ეჰ! ამერიკა, ამერიკა...“

## [illegible]—ამერიკის [illegible]

საბოლოოდ ტელევიზიამ და გაზეთებმა ბოდიში მოიხადეს და საღამოს მთელი ქალაქი დაპატიჟეს ქართველების კონცერტზე.

ტელევიზიაში მიგვიყვანა ასე 40-45 წლის ამერიკელმა, სახელად ჯონმა. მან რუსული იცოდა და ტელეინტერვიუს შემდეგ მე და გიორგის ქალაქში გასეირნება შემოგვთავაზა.

ამარილო დაარსებულა 100 წლის წინათ. შემონახულია ის სახლი, რომელიც პირველად აშენდა. აქ შეიქმნა სარკინიგზო კვანძი, რამაც გამოიწვია ქალაქის დაარსების აუცილებლობა.

ამარილოში 1917 წ. აღმოაჩინეს ქვანახშირი და გაზი. მაშინ გაზის წარმოებით ამარილო მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო და ამერიკის ბევრ შტატს ამარაგებდა. ამჟამად ამარილოში 150000 მცხოვრებია.

ამარილო ტიპიური ამერიკული ქალაქია, ქალაქიდან 30 წუთის სავალზე დაშლილი მაღალი „კანიონებია“ (დაშლილი წითელმიწა მთები). ჯონმა წაგვიყვანა ამ „კანიონების“ დასათვალიერებლად. თუ გინახავთ კოვბოურ ფილმებში შიშველი წითელმიწა კლდეები და მთები, სწორედ ის ვნახეთ. როგორც ჯონმა გვითხრა, აქ ხშირად იღებენ კოვბოურ ფილმებს. ის მთები და უდაბნო ჩვენი დავით გარეჯის უდაბნოს მოგვაგონებს.

ექსკურსიის შემდეგ ჯონმა თავის ოჯახში დაგვპატიჟა სადილად. იგი ქალაქგარეთ ცხოვრობს, ქალაქიდან 15-20 წუთის სავალზე, იქ უფრო სიმყუდროვე და სიმართოვეა. გავიცანი ჯონის მეუღლე ჯენეთი და შვილები: 12 წლის ჯეიმსი, 7 წლის ჟაკლინი და 4 წლის ჯეფრი. ბავშვები ძალიან ლამაზები და სტუმართმოყვარენი აღმოჩნდნენ.

ჯენეთი, სიმპათიური 40 წლის დიასახლისი, შეგვეკითხა, რას მივირთმევდით, როგორი მენიუ მოგვწონს, რა უფრო გვესიამოვნება. როცა ჩვენი გემოვნება გაიგო, ჯონი გაიქცა იქვე მაღაზიაში, რომელიც სრულებით არ ჰგავდა ჩვენს „სოფმაღს“.

15-20 წუთში სადილი მზად იყო. ჩვენ სუფრას მივუჯექით. ბავშვები არ ჩანდნენ. ისინი ლოცულობენო, გვითხრა ჯონმა. მერე ბავშვებიც გამოჩნდნენ. 12 წლის ჯეიმსი ჩვენთან დასვეს, ხოლო ჟაკლინს და ჯეფრის ჩვენს გვერდით პატარა დაბალი მაგიდა გაუშალეს. ისინი დამოუკიდებლად, დანა-ჩანგლით მიირთმევდნენ. თუ რაიმე უნდოდათ, დედას ეკითხებოდნენ. იქ არ ყოფილა: „ჭამე, თორემ რას იტყვიან სტუმრები“, ან „თუ არ შეჭამ, ტურა წაგიყვანს“ და სხვა.

ბავშვებმა სადილი დაამთავრეს, თეფშები აალაგეს და ჩუმად გავიდნენ მისაღებში.

ჯონიმ გვიამბო, როგორ დასახლდნენ იქ.

ჯონის და ჯენეთის ერთმანეთი გაუცვნიათ ვაშინგტონში, როცა ჯონი ჯარში მსახურობდა, ერთი წლის შემდეგ შეუღლებულან. მაშინ ჯონის თვიური ხელფასი 300 დოლარი იყო (ჩემი თვიური ხელფასი როცა ჯარში ვმსახურობდი 3 მანეთი იყო). ჯონიმ 18 თვე იმსახურა ჯარში. მერე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. ამჟამად ადვოკატია. მისი შემოსავალი წელიწადში, როგორც თვითონ თქვა, დიდი არ არის, — 70000 დოლარია. თუ ამას გადასახადებს გამოვაკლებთ, თვეში 5000 დოლარი რჩება. ეზო და ბინა თავისი ავეჯით 115 ათასი დოლარი დაჯდა. აქედან სახელმწიფომ სესხად მისცა 100000 დოლარი, რომელიც 30 წლის განმავლობაში უნდა დაფაროს.

ქალბატონი ჯენეთი არ მუშაობს. სპეციალობა რომ ვკითხეთ, —ბავშვების აღზრდაო, — გვიპასუხა. — თქვენ არ იცით ეს რა რთული პროცესია. სიგიჟე, როგორც ექიმები ამტკიცებენ შთამომავლობითი არ არის, იგი ბავშვებისაგან გემართებათ. სამი ბავშვი, ახლა ძაღლი ჯეკიც დაუმატეთ, რომელმაც არ იცის, რომ ძაღლია და თავი ბავშვი ჰგონია და წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიქნები.

ჩვენ გულიანად ვიცინეთ. ამ ბავშვებს სიცელქის არაფერი ეტყობოდათ, გუგულებივით ისხდნენ.

ბავშვებს ვკითხეთ, თუ ვინ უნდა გამოსულიყვნენ: უფროსმა — პოლიციელიო, ვინაიდან პოლიციელები ბოროტებას ებრძვიან, ისინი ყველაზე ღონიერი და პატიოსნები არიანო.

გოგონამ მასწავლებელი უნდა გამოვიდეო, ხოლო პატარა ჯეფრიმ — მაუგლიო.

ჩვენ ხვალინდელ კონცერტზე დავპატიჟეთ მთელი ოჯახი და წასასვლელად მოვემზადეთ.

ბავშვებმა გადაგვკოცნეს და კარებამდე გამოგვაცილეს.

მეორე დღეს, კონცერტის შემდეგ ბავშვებმა აზრი შეიცვალეს და თქვეს: რომ გავიზრდებით, ქართველი მოცეკვავეები უნდა გამოვიდეთო.

ქ. ამარილოს შემდეგ კონცერტები გავმართეთ ქ. სან-ანტონიოში, ქ. კოლეჯსტეიში (კოლეჯების ქალაქი) და 28 მარტს ჩავფრინდით დალასში (ტეხასის შტატი).

როგორც გვითხრეს დალასი სიდიდით აშშ-ი მეხუთეა, 5 მილიონი მცხოვრებით, იგი მეტად თავისებური და ლამაზი ქალაქია, მაგრამ მან დიდი „პოპულარობა“ მოიპოვა მას შემდეგ, რაც დალასში მოკლეს პრეზიდენტი ჯონ კენედი. აქ ებრაელთა დიდი კოლონიაა, მაგრამ ქართველი ებრაელები მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი თუა.

საღამო ებრაელთა კულტურის ცენტრში გაიმართა. მიგვიღეს ძალიან თბილად. ჩვენ სახელდახელო კონცერტი გავუმართეთ, რომელიც ძალიან მოეწონათ. იქაური ებრაელების უმრავლესობამ რუსული იცოდა, ხოლო მათ შორის იყო ერთი ჯგუფი, რომელიც სულ ერთი თვით წინ ჩამოსულა რუსეთიდან. ისინი ძალიან გამომწვევად იქცეოდნენ.

მეორე დილით მე და გიორგი თოფურია წაგვიყვანეს რადიოში და გვთხოვეს ინტერვიუ. ბევრი საინტერესო შეკითხვა დაგვისვეს საქართველოს შესახებ, მის ისტორიულ წარსულზე, ხელოვნებაზე, გვითხრეს, რომ აქ ცოტა რამ იციან საქართველოს შესახებ. ძალიან აინტერესებდათ ჩვენი ფოლკლორი. მერე თანამედროვე ხელოვნებაზე გადავედით და ბოლოს პოლიტიკური შეკითხვებიც დამისვეს. ისინი ძალიან დააინტერესა საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ.

დღის მეორე ნახევარში წაგვიყვანეს ჯონ კენედის მუზეუმში. იგი ქალაქის ცენტრში მდებარეობს, სწორედ იმ სახლში, საიდანაც სასიკვდილო ტყვია ესროლეს პრეზიდენტს. მუზეუმში უხვადაა წარმოდგენილი კენედების ოჯახის ამსახველი ფოტოები; კინო და ვიდეო მასალა.

როგორც მუზეუმში გვითხრეს, კენედის საქმეს იძიებდა სპეციალური კომისია. იუსტიციის მინისტრმა რობერტ კენედიმ განაცხადა: „მე თუ პრეზიდენტი გავხდი, ყველაფერს გავაშუქებ, იმდენი მასალა აღმოჩნდაო“.

ამბობენ, რობერტ კენედის სიცოცხლე სწორედ ამ სიტყვებმა შეიწირესო. იგი საარჩევნო კამპანიის დროს ლოს-ანჯელესში მოკლეს.

თუმცა ამ ამბის შესახებ ბევრი წაგვიკითხავს და მოგვისმენია, მაგრამ ნანახმა მაინც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

საღამოს ხალხით გაჭედილ დარბაზში გაიმართა ჩვენი კონცერტი. დალასელი მაყურებლის ტემპერამენტი დაუოკებელი აღმოჩნდა. ჩვენი ბიჭები გამეორებებისაგან ქანცგაწყვეტილები იდგნენ სცენაზე და იღიმებოდნენ. გოგოები აღარ ჩანდნენ ყვავილებში.

მეორე დღეს მიგვიწვიეს ქალაქის მუნიციპალიტეტში. მთელი მოსამსახურე პერსონალი გამოვიდა შენობის წინ მოედანზე და ყვავილებით შეეგება ანსამბლ „რუსთავს“. ჩვენი გოგო-ბიჭები, საზეიმოდ გამოწყობილნი, მართლაც მეტად მომხიბლავად გამოიყურებოდნენ. ეს მხედრულობიდან არ გამოპარვიათ იქაურებს, განსაკუთრებით ქალებს, რომლებმაც აღნიშნეს ქართველების ჩაცმულობის მაღალი კულტურა და გემოვნება — სცენის გარეშეც.

ჩვენი გოგოები პირდაპირ ყვავილებში „შეფუთეს“ მუნიციპალიტეტელებმა.

შეხვედრა დღის 12 სთ-ზე დაიწყო. მუნიციპალიტეტის დარბაზში დამხვდურები ფეხზე ადგარნენ, ტაშით შეგვეგებნენ. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა დალასის მერის მოადგილე. მან აღნიშნა ჩვენი ანსამბლის მაღალი პროფესიონალური დონე, რამაც განსაზღვრა ის წარმატება, რომელიც „რუსთავს“ ხვდა აშშ-ი და რომლის მოწმე იყო გუშინ საღამოს დალასის მომთხოვნი მაყურებელი. მან აღნიშნა, რომ ჩვენ არა მარტო დალასელების, არამედ მთელი ამერიკის სტუმრები ვართ. თქვა, რომ ეს მიწა მისიც არის და ჩვენიც, რომ ამერიკა მსოფლიოში ყველას ძმობაზე ბარია, განსაკუთრებით ჩვენი, რომ ამერიკის მიწას, ჩვენც შეგვიძლია ჩვენი ვუწოდოთ.

საპასუხო სიტყვაში მე მადლობა გადავუხადე დალასელებს გულთბილი მიღებისათვის, მადლობა გადავუხადე იმ მიწისათვის, რომელსაც „გვჩუქნიდნენ“ და ვუთხარი, რომ საქართველოში რაც რამ გვებადა ყველაფერი წაგვართვეს და გააჩუქეს, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია კავკასიონს იქით, ჩრდილო ყინულოვან ოკეანემდე მთელი ტერიტორია გაჩუქოთ-მეთქი.

ატყდა ტაშისცემა, ბევრი იცინეს.

მერე წაგვიკითხეს ოფიციალური წერილი, რომელიც დალასის მერმა გადმოგვცა ქალაქის სახელით:

ტეხასის შტატი. ქ. დალასის მერის ოფისი.

„ვინაიდან ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ სხვა ერებთან კულტურულ გაცვლებს ხელოვნების დარგში, ვინაიდან ანსამბლ „რუსთავის“ მომღერლებმა, მოცეკვავეებმა და მუსიკოსებმა საქართველოს რესპუბლიკიდან აირჩიეს დალასი ჩრდილოეთ ამერიკაში გასტროლების ნაწილად, ვინაიდან „რუსთავმა“ ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით აღმოაჩინა, აღადგინა და დაიცვა უძველესი ქართული ფოლკლორი და ამით წარმოგვიდგინა ტრადიციები, რომელიც ათასწლეულებს ითვლის, ვინაიდან მათი ხელოვნება წარმოადგენს სულისშემძვრელი შემოქმედებისა და უზადო ტექნიკის მაგალითს, რომელიც შეიცავს თვითმყოფად ეროვნულ მუსიკას, ვინაიდან ჩვენ გვინდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა და მეგობრის ხელი გავუწოდოთ ამ უაღრესად ნიჭიერ შემსრულებლებს. ამიტომაც მე, ანეტ შტრაუსი, ქალაქ დალასის მერი, დალასის მუნიციპალიტეტის სახელით ვაცხადებ 1990 წლის 29 მარტს ანსამბლ „რუსთავის“ დღედ ქ. დალასში და მოვუწოდებ დალასის ყველა მოქალაქეს, შეგვიერთდნენ ამ ხელოვანთა პატივსაცემად ჩვენს ქალაქში“.

დალასის მერი —ანეტ შტრაუსი.

ეს სიგელი ტაშის გრიალში გადმოგვცეს. ჩვენ საპასუხოდ ქართული სუვენირები და ანსამბლ „რუსთავის“ 100 ქართული ხალხური სიმღერის ფირფიტების კრებული ვაჩუქეთ. მომღერლებმა „მრავალჟამიერი“ დააგუგუნეს.

არის დღე, რომელიც არ გვავიწყდება მთელი ცხოვრების მანძილზე. ერთ-ერთი ასეთი დღე „რუსთავის“ ცხოვრებაში გახლდათ 1990 წლის 29 მარტი.

საღამოს, კონცერტის წინ. იმპრესარიომ ფული მოგვიტანა. ეს იყო ნაწილი იმ დიდი თანხისა, რომელიც საქართველოში უნდა წამოგვეღო პირველად ჩვენი არსებობის ისტორიაში. თვალებს არ ვუჯერებდით. რადგან ადრე, იმპრესარიო ფულის მოტანას ვერ ასწრებდა, რომ საბჭოთა ხაელჩოს წარმომადგენელი სულთამხუთავივით გვადგა თავზე. ამან გამახსენა ერთი ექსპრომტი, რომელიც ჩემს მეგობარს მოვწერე ამერიკიდან 2 წლის წინათ:

„მთელი ტეხასი ტაშს გვიკრავს,
კონცერტებს ვმართავთ
დალასში,
ფული სულ რუსმა წაიღო,
ერთი დოლარი „დალ“-ასში“.

1 აპრილს დალასიდან გავემგზავრეთ ქ. ტულზაში. გზაში რვა საათი დავყავით, მაგრამ არ დავღლილვართ, იმდენი საინტერესო სანახაობაა, რომ მოსაწყენად ვერც მოვიცლით. გზა აქაც საუცხოოა. გზის პირას ჯიშიანი საქონელი ძოვს. მანცვიფრებს იმათი საძოვრები, რისთვისაც საუკეთესო მიწები აქვთ გამოყენებული. სამაგიეროდ ძროხებს სხვა საკვები არ სჭირდებათ. ჩვენთან საძოვრები აღარ არის და ძროხებს პურს აჭმევენ. საქართველოში, მარტო ჩვენს რაიონში რომ პური იხარჯება პირუტყვის საკვებად, მგონი იმდენ პურს მთელ ამერიკაში არ ჭამენ. პურს კიდევ კანადიდან ვყიდულობთ ვალუტაზე. მოკლედ საბჭოეთში ყველაფერი უთაოდ კეთდება.

ქ. ტულზაში, კონცერტის წინ ჩვენთან ერთი კანადელი ოჯახი მოვიდა. კაცი საკმაოდ კარგად ლაპარაკობდა რუსულად. მე წარმოშობით ბელორუსი ვარო — გვითხრა. მერე მკითხა, საქართველო სად არისო. მან გაიხსენა, რომ ვანკუვერში რამდენიმე წლის წინათ წითელი არმიის ანსამბლი გამოვიდა ალექსანდროვის ხელმძღვანელობით, — ძალიან მოგვეწონა, — თქვა მან, თქვენი „რუსთავიც“ წითელარმიელები ხომ არ არიან? — პირიქით, თეთრგვარდიელები-მეთქი, — ვუპასუხე.

დარბაზში ტევა არ იყო, წესისამებრ კონცერტის წინ მაყურებელს ორიოდე სიტყვით ვუამბეთ საქართველოს შესახებ.

კონცერტი ბრწყინვალედ ჩატარდა.

კონცერტის შემდეგ ერთი კაცი მოვიდა ჩვენთან და აღფრთოვანებულმა მითხრა: როგორ მოგწონს რუსის ქალებიო.

— რუსის ქალები მეც მომწონს, მაგრამ ესენი რუსები არ არიან-მეთქი, — ვუპასუხე.

— რა განსხვავებაა თქვენსა და რუსებს შორის? — ისევ შემეკითხა მაყურებელი. მე ამის ასახსნელად დიდი დრო დამჭირდა. რავა არაფერი არ შედის ამათ თავში, ღმერთო რა შეგცოდეთ ასეთი!

მეორე დღეს ქ. მილიაპოლისში გავემგზავრეთ. ეს არის თეატრალური ქალაქი, სადაც თეატრალური ფესტივალები ტარდება.

კონცერტი გაიმართა უზარმაზარ დარბაზში, სადაც 4800 კაცი ეტევა. მართლაც საუცხოო დარბაზია.

კონცერტზე მოვიდნენ ქართველები, მამა-შვილი დათო და ალიკო ასათიანები. ისინი ნოემბერში ჩამოვიდნენ თბილისიდან. ალიკოს თირკმელებმა უმტყუნეს. შეიქმნა კრიზისული მდგომარეობა. მილიაპოლისის ორგანოთა გადანერგვის კლინიკაში მამის თირკმელი შვილს გადაუნერგეს. ამ კლინიკის უფროსია 60 წლის ჯონ ნაჯარიანი, წარმოშობით სომეხი. ამ კაცმა უდიდესი ყურადღება გამოიჩინა ქართველების მიმართ. ოპერაცია წარმატებით ჩატარდა. ოპერაციის პირველსავე დღეს ავადმყოფები ფეხზე დააყენეს. ხოლო მეორე დღიდან ყველაფრის ჭამისა და დალევის უფლება მისცეს (გარდა სპირტიანი სასმელებისა). მამა-შვილი თავს კარგად გრძნობდა, თუმცა ამის შესახებ საქართველოში უკვე დაიწერა.

4 აპრილს ჩავედით ნიუ-იორკში. დავბინავდით ცნობილ „ბროდვეიზე“, სასტუმრო „ბიკონში“. იქვე ახლოს მდებარეობდა თეატრი „ბიკონი“ (3000 მაყურებელს იტევს), სადაც ჩვენი კონცერტები უნდა გამართულიყო.

ჩასვლისთანავე დაგვხვდა სასიამოვნო ამბავი: ნიუ-იორკში უდიდესი წარმატებით გამოდიოდა თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრი.

მეორე დღეს ჩვენი პირველი კონცერტი უნდა გამართულიყო ნიუ-იორკში. ამერიკაში ერთი ასეთი წესი არსებობს: თუ ნიუ-იორკში წარმატება ვერ მოიპოვეთ და პრესამ მაღალი შეფასება არ მოგცათ, ჩათვალეთ, რომ დამარცხდით. ნიუ-იორკის პრესა საზომია არა მარტო ამერიკისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.

სწორედ ამიტომ ვნერვიულობდით კონცერტის წინ. იმ დღეს განსაკუთრებული დღე იყო. „რუსთავი“, რომელსაც მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყანა მოუვლია წარმატებით, პირველად გამოდიოდა ნიუ-იორკში, მსოფლიოში სახელგანთქმულ ბროდვეიზე, რომელსაც კონცერტებისა და წარმოდგენების უდიდესი ტრადიციები აქვს, ჰყავს მეტად განებივრებული მაყურებელი.

დილიდანვე შევუდექით რეპეტიციას. მთელი ანსამბლი, გრძნობდა რა უდიდეს პასუხისმგებლობას, თავდაუზოგავად მუშაობდა. ხუმრობა ხომ არ იყო უკვე სამთვიანი მოგზაურობის გამო ანსამბლი დაიღალა. ამას დაემატა ისიც, რომ ტრავმების გამო დროებით გამოგვაკლდა რამდენიმე წამყვანი მოცეკვავე.

**ანზორ ერქომაიშვილი.**

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №№ 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 60, 61, 62.

### ღვთისშვილთა კავშირის ორგანიზაციათა საყურადღებოდ

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის პრეზიდიუმი იუწყება, რომ ა. წ. 5 ივნისს, ოთხშაბათს, 14 საათზე, კავშირის რეზიდენციაში (თბილისი, წერეთლის, 144) მოწვეულია ღვთისშვილთა კავშირის რეგიონულ, რაიონულ, საქალაქო და ზონალურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების საგანგებო თათბირი კავშირის ეკონომიკურ სამსახურთა რეორგანიზაციის საკითხებთან დაკავშირებით. კავშირის ორგანიზაციათა თავმჯდომარეების დასწრება სავალდებულოა.

**ღვთისშვილთა კავშირის აპარატი.**

ინფორმაცია

# აკაკი წერეთლის 150 წლისთავს მიეძღვნა

„ერის ერთობა განპირობებულია ენის ერთობით. საქართველოს ერთობის დროს ენაც ერთი გვქონდა, ღრმად შემუშავებული და წესიერადაც დაკანონებული“. — წერდა აკაკი წერეთელი და ეს ღრმად გააზრებული პრინციპი განსაზღვრავდა უდიდესი შემოქმედის დამოკიდებულებას დედა ენისადმი. აკაკი წერეთლის პოზიცია სალიტერატურო ენის მიმართ ცალსახა და ნათელია: აკაკი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელსაც დიდი ბრძოლების გადატანა მოუხდა ერთიანი სალიტერატურო ქართული ენის დამკვიდრებისათვის. აკაკისა და მისი თაობის ზოგადი პოზიცია ასეთი იყო: სალიტერატურო ენა უნდა იყოს ერთი და იგი უნდა ეფუძნებოდეს საერთო-სახალხო ენას. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე აკაკი წერეთელი ამ პოზიციაზე იდგა და ამასვე მოუწოდებდა სხვასაც.

ქართული სალიტერატურო ენისადმი აკაკი წერეთლის დამოკიდებულება, მისი ღვაწლი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში იყო ძირითადი თემა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის საიუბილეო სამეცნიერო სესიისა, რომელიც პოეტის დაბადების 150 წლის იუბილეს მიეძღვნა.

„აკაკი წერეთლის შეხედულებანი სალიტერატურო ენის საკითხებზე“ იყო თემა ლია ლეჟავას მოხსენებისა. „აკაკი წერეთელი — დედაენის მოამაგე“ — ასეთი თემა შესთავაზა მსმენელებს ბესარიონ ჯორბენაძემ. ამ მოხსენებებში კარგად წარმოჩნდა პოეტის დაინტერესება ენის ისეთი ზოგადთეორიული საკითხებით, როგორიცაა ენის რაობა, ენის ცვალებადობა, ენის შინაგან კანონთა ხელშეუხებლობა და სხვა. გარდა ამისა, თავის პუბლიცისტურ წერილებში აკაკი საგანგებო ყურადღებას აქცევდა ენის კონკრეტულ საკითხებს — განიხილავდა სადავო ფორმებს და ცხარედ კამათობდა ქართული ენის მოსაგვარებელი პრაქტიკული საკითხების თაობაზე. აღინიშნა ისიც, რომ აკაკი წერეთლის მრავალი მართებული მიგნება მოწმობს იმას, რომ ენისადმი მის დამოკიდებულებას მხოლოდ ინტუიცია არ ედო საფუძვლად, ეს დამოკიდებულება ენის გრამატიკული წყობის გააზრებასაც გულისხმობდა.

აკაკი წერეთლის ლექსიკის შესწავლას მიეძღვნა ალექსი ჭინჭარაულის მოხსენება; მასში კიდევ ერთხელ წარმოჩნდა კლასიკოსი მწერლის როლი სალიტერატურო ენის გამდიდრება-გამრავალფეროვნების საქმეში. ამავე დროს, ითქვა, რომ მწერლის ნაწერები ტექსტოლოგიური თვალსაზრისით კვლავაც მოითხოვს დაკვირვებას.

სალიტერატურო ენის საკითხებზე აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ცნობილ პოლემიკას მიეძღვნა გიორგი გოგოლაშვილის მოხსენება „აკაკი და ვაჟა“. მომხსენებელმა სცადა წარმოეჩინა ისტორია ამ პოლემიკისა, რომელიც, როგორც ჩანს, სათავეს გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში იღებს. კერძო თუ პუბლიცისტურ წერილებში, სხვადასხვა ლექსში აკაკი და ვაჟა არაერთხელ შეხებიან სალიტერატურო ენაში დიალექტური ფორმების გამოყენების საკითხს. ეს დისკუსია გარკვეულად შეაჯამა აკაკის ცნობილმა ლექსმა „ვაჟა-ფშაველას“ და ვაჟას საპასუხო ლექსმა „დაგვიანებული პასუხი აკაკის“.

სამეცნიერო სესიის მასალები დაიბეჭდა.

**შორენა მორჩილაძე**

# ზეიმი თელავში

**თელავში** გაიმართა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისადმი მიძღვნილი თვითმოქმედი სასულე ორკესტრების რესპუბლიკური ფესტივალი.

აქ ჩამოვიდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ოგინდორფის თვითმოქმედი სასულე ორკესტრი, ლატვიის ქალაქ კოლდიგის, თბილისის სკოლა-ინტერნატის სასულე ორკესტრები. ფესტივალი გახსნა საკრებულოს კულტმასობრივი მუშაობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა დავით კეჟერაძემ. აღლუმის გახსნის შემდეგ ორკესტრები გაემართნენ კულტურისა და დასვენების პარკ ნადიკვარისაკენ, სადაც გაიმართა საინტერესო კონცერტები. გაერთიანებულმა ორკესტრმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის პროფესორი ლევან ტყაბლაძე, შეასრულა საქართველოს ჰიმნი „დიდება“ და რევაზ ლაღიძის „ჩემო კარგო ქვეყანავ“. ნადიკვარში გამართულმა კონცერტმა დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

მეორე დღეს თელავის თეატრში გაიმართა დიდი საჩვენებელი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ზემოთ ნახსენები კოლექტივები და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასულე ორკესტრი ნინო ქელტუხინას ხელმძღვანელობით.

ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ პროფესორი ლევან ტყაბლაძე, კომპოზიტორი ლევან კასრაძე, მეთოდური ცენტრის მუსიკალური განყოფილების გამგე დოდო თაქთაქიშვილი, მეთოდური ცენტრის წამყვანი სპეციალისტი აკაკი ყასაბური და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორკესტრის დირიჟორი ნინო ქელტუხინა.

კონცერტი გახსნა ლატვიის სასულე ორკესტრმა (ხელმძღვანელი — ე. სნიპკე), შემდეგ სცენა დაეთმო თელავის, თბილისის, ხონის, მცხეთის კოლექტივებსა და გერმანიიდან ჩამოსულ მუსიკოსებს. ორკესტრს ხელმძღვანელობდნენ დირიჟორები ჰარტვიგ კოხი, ე. სნიპკე, ვაჟა ჩიხლაძე, პავლე ყიფშიძე, კარენ მელქისედიანი, გოგი ალიბეგაშვილი, ა. ხუროშვილი. ჟიურიმ თითქმის ყველა მონაწილე დააჯილდოვა ფესტივალის დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

დასასრულ ლევან ტყაბლაძის დირიჟორობით გაერთიანებულმა ორკესტრმა შეასრულა [illegible] დება“ და რევაზ ლაღიძის სიმღერა „ჩემო კარგო ქვეყანავ“. [illegible]ლმა დარბაზმა აიტაცა ეს სიმღერა. კოლექტივების ხელმძღვანელებს ჯილდოები გადასცა საქართველოს კულტურის მეთოდცენტრის დირექტორის მოადგილემ ლევან კასრაძემ. გერმანიის ქალაქ ოგინდორფის თვითმოქმედი სასულე ორკესტრის დირიჟორმა ჰარდვიგ კოხმა თქვა, რომ ამ ერთი კვირის განმავლობაში, რაც თქვენს ქვეყანაში ვართ, ძალიან შეგვიყვარდა საქართველო, ქართველი ხალხი და ამგვარი კულტურული ურთიერთობა განამტკიცებს თავისუფალი საქართველოსა და თავისუფალი გერმანიის ურთიერთმეგობრობას და კავშირს. სულ მოკლე ხანში ბატონ ლევან კასრაძეს და მასთან ერთად ქართულ კოლექტივს ველოდებით გერმანიაში.

**ოთარ ფირცხალავა**
**საქართველოს პროფსაბჭოს კონფედერაციის პრესცენტრის ხელმძღვანელი.**

---

მამა, უკვე ოცი გაზაფხული ჩათავდა უშენოდ. ამ გაზაფხულზეც, ყველაფერი ისევ ისე აყვავდა... რა მზიანი და ნათელი ფერებითაა სამყარო გაჯერებული.

სიკეთის თესვასა და ფუნჯის ერთი მოსმის ცდაში ჩაიარა მთელმა შენმა სიცოცხლემ. წახვედი და მრავალი მოსაგონარი დაგვიტოვე...

ცხოვრების დიდი გზა გაიარე, მაგრამ ათასმა გასაჭირმა, გაუტანლობამ და შურმა მაინც ვერაფერი დააკლო, ვერ ჩაკლა პატიოსნება და ალალ-მართლობა, თითქმის ბავშვური გულუბრყვილობაც კი, რომელიც ძლიერ გშვენოდა. ბევრს შეასწავლე ქართული ენა და ლიტერატურა, სტორის ხეობის ტაძრები და ნალოცავები.

შენს უდროოდ გაჩერებულ გულს ახლა როგორ გაახარებდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. როგორ სჭირდება სამშობლოს შენისთანა ერთგული ადამიანები, რა კეთილი იყავი, მამა.

თუმცა ძნელია და უხერხულიც შენზე სიტყვის თქმა, მაგრამ ხუთივე შვილი როცა გიხსენებთ, მღელვარება გვიპყრობს და ვფიქრობთ, რითი გამოვადგეთ შენს ამაგსა და დანატოვარ ლექსებს...

ახლა ყვავილობისა და საქართველოს თავისუფლების ჟამია. შენ ხომ ნატრობდი ამას. რა კარგი იყო, შენც მოსწრებოდი, მამა.

ჩვენ საქართველოს ცისკართან ვდგავართ...

შენ კი... თან წაყოლილი წიგნი გიპყრია ხელში...

**იზა ჯამვაძე**

## შაქრო ჯამვაძე

### ბარათაშვილის ცრემლი

ვერცხლის ჩაქუჩი ურტყამს,
თახთახებს ოქროს გრდემლი;
მინაზებული სუნთქავს
ბარათაშვილის ცრემლი...
ობოლი სული ის
გადახვევია ნაზად;
გული მომავლის ფიქრით
აკვნესებულა ნაზად.
ჭაბუკის გულის თრთოლა
ფეთქავს საყურის ძირში,
შავ თვალთა სხივთა სრბოლა
კანკალებს თმებში — ხშირში,
ეძებს მომავლის მნათობს
გრიგალზე მჯდარი ტატო,
სხივი რომ მოცისმნათობს,
ვერ მისწვდომია ტატო.
უიღბლო, ბედდამწვარი,
ყელამდის მწუხრში მდგარი, —
სატრფომ არჩია ტახტი,
რეკავს გოდების ზარი.
მარად ნაღველი სდევდა
პოეტის სულის კოცონს.
მაინც გაგლიჯა სევდა,
გახსნა იმედის ქოცო.
ვერცხლის ჩაქუჩი ურტყამს,
თახთახებს ოქროს გრდემლი;
მინაზებული სუნთქავს
ბარათაშვილის ცრემლი.

### მოდი, მოდი!

მოდი, მოდი ჩაგიხუტო,
ჩემო ფიქრო, ჩემო ლხინო!
პაპას ყელზე მოეხვიე,
დახატულო გოგო — ნინო!
იქნებ პაპას, კეთილ პაპას,
იის კონა აპოვნინო!
ვინძლო, კარგი გაიზარდო,
ვინძლო, რომ არ
შემარცხვინო!

### დედავ!

დღისით შორს, შორს, შორს
გამგზავნე;
ბარში, მთაში და ზღვაში
სულ საკეთილოდ მამგზავრე
მშობლიურ ქვეყანაში
ამამოქმედე, მაშრომე,
ფრთები შემასხი ორბის,
მტერთან პირისპირ მაომე,
სიმხნე ზვავივით მორბის.
გულში ღაღანებს იმედი
სადღეისო და ხვალის,
ვიყო სამშობლოს მზრუნველი
ეს არის ჩემი ვალი.

### ფშაველი

გრძნობის ზღვით, გულის
გუგუნით
გადავიარე მთა-ველი,
კავკასიონის მთის ძირას
ბინადრობს ჩემი ფშაველი.
სტორის პირს გაშენებულა
სოფელი, ვით ბაღ-ბოსტანი,
ნუშებით დამშვენებულა,
დიდ სიხარულის მომტანი.
ეზოს, სკვერებს და გაზონებს
მიხაკ-ნარგიზი ამშვენებს;
ყვავილებს ვნებით აზმორებს,
მზეთუნახავის ნაშენებს.
— აპრილში იები მმოსავს,
მაისში — თეთრი ვარდები, —
ჩემთან მოსულო, სტუმარო,
ნუთუ არ შეგიყვარდები?!

### ნუ დამივიწყე!

ნუ დამივიწყე, ძმაო,
ვარ მეგობარი ძველი!
ჩაუჩურჩულე, მთაო,
იქნებ ხათრი აქვს შენი!
ერთად ნაზარდი ძმები
როგორ გაგვფანტა ბედმა?!
ხსოვნის ნაღვერდლით ვთბები,
შემომღუღუნა მტრედმა.
ჩვენი ბავშვობის წლები
რა დაშაქრული იყო.
ის მწიფე ალუბლები
რა დაშაქრული იყო.
გახსოვს ნავარდი ველზე
და თევზაობა წყალში?
ფეხით ცურება სველზე,
ხტუნვა კოცონის ალში.
მე გულში ჩამხატვია
იმ სურათების ფერი,
ჩაუჩურჩულე, მთაო,
იქნებ ხათრი აქვს შენი!

### ყაყაჩოები

როცა გავივლი ველზე,
მწვანე ზურმუხტის ქსელზე,
მომეხვევიან მწყობრად
ყაყაჩოები ყელზე.
ცეცხლი უელვებთ ლაწვებს,
სით ნაწნავებს არწევს,
მზის ჩანჩქერები სცელავთ,
მიწის გულ-მკერდზე აწვენთ.
ამებადება გრძნობა,
სულს ემატება თბობა,
სჯობს იმ კაცებზე უფრო
ამ ყვავილების ნდობა.
როცა სიკვდილი მერგოს
ყაყაჩომ ფერი ნერგოს,
ვცოცხლობდე მათთან მაინც,
დაიმახსოვრე თერგო!

### კახეთის დილა

თენდება დილა, კახეთის თხემებს,
შემოხვევია ნისლის ხუნდები.
მთებო, დამდგარხართ, როგორც
გემები,
სულ იზურმუხტებთ, არ
გახუნდებით.
თქვენს სიყვარულში ჩამოკლევ
დღეებს,
ხარ-ირემივით ავგუგუნდები,
დავკეტავ თვალის ზღვა
სინათლეებს,
ყოფნას ხელახლად
დავუბრუნდები.
ლივლივით მოდის ავტოს ნაკადი.
როგორც მდინარე ნისლის
ხუნდების,
მთებო, დამდგარხართ, როგორც
გემები,
სულ იზურმუხტებთ, არ
გახუნდებით.

---

სპორტი

# აღიარება ევროპაში

ათიდან რვა მედალი და გუნდური პირველი ადგილი — ბრწყინვალე გამარჯვება ევროპის პირად-გუნდურ ჩემპიონატში დგომელა მკლავჭიდში — ასეთია საქართველოს მკლავჭიდელთა ნაკრების მონაპოვარი საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დღეს 1991 წლის 26 მაისს.

გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც... ამ დიდებულ გამარჯვებას სხვა ელფერი აქვს — ეს ხომ საქართველოს ნამდვილი აღიარებაა საერთაშორისო სარბიელზე, თანაც ქართველი მკლავჭიდელები პირველად გავიდნენ ევროპის ჩემპიონატზე დამოუკიდებელი გუნდის სახელით. სულ ციურიხში გამოდიოდა 15 ეროვნული ნაკრები. ქართველებმა უკან ჩამოიტოვეს გერმანიის, იტალიის, შვეიცარიის და სხვა ძლიერი ნაკრებები. ჟღერდა ქართული ეროვნული ჰიმნი „დიდება“, ფრიალებდა საქართველოს დროშა...

მძიმე წონითი კატეგორია ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და აქ საქართველოს სახელს იცავდა ზესტაფონელი **ზაურ ცხადაძე**, რომელმაც ყოველგვარი შანსი გადაუწურა თავის მეტოქეებს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მეორე ოქროს მედალი მოპოვებულია 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში. აქ ყველას აჯობა და ევროპის ჩემპიონი გახდა თბილისელი **ჯიმი მერაბიშვილი**. კონტინენტის ჩემპიონატის მეორე პრიზიორები გახდნენ: **ერეკლე გურჩიანი** (90 კგ), **ლერი სალლიანი** (70 კგ) და **გელა ბეწუაშვილი** (75 კგ).

გუნდი ასპარეზობისათვის მოამზადა უფროსმა მწვრთნელმა და მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტმა **ვახტანგ მუსელიანმა**. ქართული მკლავჭიდის აღიარება იყო, აგრეთვე, რომ ციურიხში ერთ-ერთი საუკეთესო მსაჯის პრიზი მიიღო **ირაკლი შაიშმელაშვილმა**.

ევროპის ჩემპიონებს ახლო მომავალში საქართველოს სახელით ელით გამოსვლა ნორვეგიის ტურნირზე და წლის ბოლოს კი ისრაელში მსოფლიო ჩემპიონატზე.

**ზაბრიელ ბარჯაძე**

# ახალგაზრდა შემოქმედთა ხსოვნის საღამო

ამ დღეებში საზოგადოება „ცოდნის“ დიდ დარბაზში მწერალთა დამოუკიდებელი ასოციაცია „გულანის“ ინიციატივით გაიმართა ბოლო ოცი წლის განმავლობაში გარდაცვლილ ქართველ ახალგაზრდა შემოქმედთა ხსოვნის საღამო. საღამო ძალზე გახანგრძლივდა, რადგან წასულები, ჩვენდა საუბედუროდ, მრავლად არიან: თამაზ ბაძაღუა, ჯილდა დათუაშვილი, რამაზ ბარკალაია, მიშიკო ერიაშვილი, ირაკლი დოლიძე, დათო კვიტაიშვილი, დათო კრაწაშვილი, ირაკლი კოსტავა, დათო გურგენიძე, ჯემალ თოფურიძე, თენგიზ პატარაია, ნიკა ჯამბაზიშვილი, ფირუზ მაჩურიშვილი, ნაზი შამანაური, თამრიკო ჭოველიძე, ეკა ბეჟანიშვილი, ნათია ბაშალეიშვილი, არჩილ ფირცხალავა, თემურ გაბედავა, დიმიტრი გოგუაძე, ზეთქილ შამფრიანი, მარიკა ტაბაღუა, ნანა თაქთაქიშვილი და კიდევ მრავალი სხვა. დამსწრეთა უმრავლესობას ჭირისუფლები შეადგენდნენ. საღამო თავისთავად ტკივილიანი იყო... და მონაწილეთა მიზნის, წამიერად მაინც გაეცოცხლებინათ გარდაცვლილთა სახეები, ალბათ მიღწეულიც იქნა, რაც გამოიხატებოდა მაყურებლის სცენასთან უშუალო დამოკიდებულებაში, მონაწილეების მიმართ გამოხატულ მადლობებში.

მონაწილეობდნენ მწერლები: ვაჟა ოთარაშვილი, მერი შალვაშვილი, ვახტანგ ღლონტი, ბადრი გუგუშვილი, ომარ თურმანაული, გია გრიგალაშვილი. მსახიობები: ელდინო საღარაძე, ჯემალ მელქაძე, ზაზა მაღალაშვილი... კომპოზიტორები და მომღერლები: მარიკა კვალიაშვილი, ჯუმბერ ჯანდიერი, ირმა სოხაძე, ლელა თათარაიძე.

ასოციაცია „გულანი“ ახლო მომავალში ქართველ მკითხველს მიაწვდის უდროოდ დაღუპულ შემოქმედთა ანთოლოგიას — „ბედისწერას“, რომელთა ავტორების ჭირისუფლებიც ამ ხსოვნის საღამომ კიდევ უფრო დააახლოვა ერთმანეთს. ჩატარებული საღამოს შემოსავალი გადაირიცხა მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში.

**საკუთარი ინფორმაცია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აღორძინება არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინება" და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო".



**თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტების საწარმოო გაერთიანებასთან არსებული კოოპერატივი „სიმი"**

**ღებულობს შეკვეთებს ორსაწოლიანი არაბული სტილის ტახტებზე. ხის ფერი და ნაჭერი თქვენი გემოვნების მიხედვით.**

**მისამართი: ფეიქრების ქ. № 14. მუსიკალური ფაბრიკა.**

---

## ფირმა „გლობუსი"

### თურქეთში წამსვლელთა საყურადღებოდ

სატრანსპორტო-ტურისტული ფირმა „გლობუსი" მოქალაქეებს სთავაზობს მოგზაურობას თურქეთის რესპუბლიკაში მარშრუტებით: **თბილისი — ტრაპიზონი — სამსუნი — თბილისი** (მგზავრობის ხანგრძლივობაა 5 დღე), **თბილისი — სტამბული — თბილისი** (მგზავრობის ხანგრძლივობა 7 დღე).

ანგარიშსწორება წარმოებს, როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ფირმა „გლობუსს" მისამართზე: **კანკავას ქ. №3 (საბჭოს ქ. 12-თან).**

**ტელ: 96-94-49.**

---

ფირმა „ჰუმანიზმი"-ს სერვისბიურო გთავაზობთ საშუამავლო მომსახურეობას:

1. ბინების ყიდვა-გაყიდვას, გაცვლას, გაქირავებას, დაგირავებას;
2. იმპორტული და სამამულო წარმოების ტელე-ვიდეო აუდიო აპარატურის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ავტომანქანების, ავეჯის ყიდვა-გაყიდვას, გაცვლას, გაქირავებას.

მსურველებმა მიმართეთ სერვისბიუროს. თქვენი ნატვრა რეალობად იქცევა.

მისამართი: ლერმონტოვის ქ. № 19.

ტელ. 93-20-76

---

## მცირე სახელმწიფო საწარმო „ბიზნეს-ინფორმატიკა"

მცირე სახელმწიფო საწარმო (მსს) „ბიზნეს-ინფორმატიკა", რომლის დამფუძნებელია სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი, სთავაზობს ყველას თანამედროვე IBM PC/XT/AT-ის ტიპის კომპიუტერებთან მუშაობის შესწავლის მოკლევადიან კურსებს.

კურსები განსაზღვრულია სხვადასხვა წინასწარი მომზადების მქონე მსმენელისათვის: დაწყებული ახალბედიდან, დამთავრებული სოლიდური მომზადების მქონე მომხმარებლით.

მსმენელთა ჯგუფები მცირერიცხოვანია — არა უმეტეს 8 კაცისა. ამასთან აუცილებლად დაცული იქნება პირობა — ყოველ მსმენელს ცალკე პერსონალური კომპიუტერი.

სწავლების ვადა და პროგრამა განისაზღვრება ჯგუფის წევრთა ინტერესებით და საწყისი მომზადებით. სწავლებას გაუძღვებიან უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები.

სწავლების კურსის გავლის შემდეგ ახალბედებს შეეძლებათ დამოუკიდებლად მუშაობა ყველაზე თანამედროვე პერსონალურ კომპიუტერზე, ხოლო მომზადებულ მომხმარებელს შეეძლება შეისწავლოს: ტექსტური რედაქტორები, სერვისული პროგრამები, ელექტრონული ცხრილები, დაპროგრამების ენები, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები, გრაფიკული პაკეტები, სტატისტიკური პაკეტები და სხვა.

კურსის გავლის შემდეგ მსმენელებს შეეძლებათ შეიძინონ მათ მიერ შესწავლილი პროგრამები ჩაწერილი მაგნიტურ დისკოზე შესაბამისი აღწერით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ: **თბილისი, 9 აპრილის ქუჩა №6,** სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი, მსს „ბიზნეს-ინფორმატიკა", ტელეფონები: **93-77-19, 93-76-47.**

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლოკი"

---

## ვაქირავებ

საკუთარ სახლს ეზოთი

ავჭალაში —

კოოპერატივებისათვის.

ცნობებისათვის დარეკეთ

22-35-07 $15^{00}$-დან $23^{00}$-მდე.

---

სულ რამდენიმე თვეა, რაც თბილისში ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაციასთან შეიქმნა სპორტული კლუბი „ქეიბური".

„ქეიბური" აერთიანებს კარატეს, ჯიუ-ჯიცოს, ტაეკვანდოს, იოგას, ათლეტიზმს, აერობიკის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, რომელთა უმრავლესობას საზღვარგარეთ აქვს გავლილი სპეციალური კურსები და გააჩნიათ სათანადო მოწმობები. სპორტულ კლუბში ჩამოყალიბებულია ტურიზმის რამოდენიმე სახეობა: საცხენოსნო, საწყლოსნო, აგრეთვე ალპინიზმი.

სპორტულ კლუბს აქვს მრავალმხრივი კავშირები საზღვარგარეთის ფირმებთან, ორგანიზაციებთან და სპორტულ კლუბებთან. დაინტერესებულ პირებს, ფირმებს, ორგანიზაციებს, კოოპერატივებს სთავაზობს სხვადასხვა საქმიანი კონტაქტების დამყარებას საზღვარგარეთის ფირმებთან და ორგანიზაციებთან. სპორტული კლუბი „ქეიბური" იძლევა მომსახურეობის მაღალი დონის გარანტიას.

კლუბი ეძებს პარტნიორებს და სპონსორებს.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი. უნივერსიტეტის ქუჩა № 11, თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

ტელეფონი: **37-55-53.**

ყოველ დღე დილით 8 სთ-დან 9 სთ-მდე, საღამოს 18 სთ-დან 23 სთ-მდე.

სპორტკლუბ „ქეიბურის" პრეზიდენტი ზურაბ ელოშვილი.

---

თქვენ გნებავთ თავი გაარიდოთ პაპანაქება სიცხეს?

თქვენ გნებავთ იყოთ თბილისში და თავი იგრძნოთ კურორტზე?

სუფთა ჰაერი, ტყე-პარკი, კოტეჯები, კაფე-სასადილო, სოკოს დარბაზი, თავის თვისებით განთქმული გოგირდოვანი აბანო, კეთილმოწყობილი პლიაჟი და სპორტული მოედნები, ბილიარდი, ათლეტური კლუბი, წყლის ველოსიპედები, ნავები და ყველაფერი ის, რაც საჭიროა ადამიანის სულიერი და ფიზიკური დასვენებისათვის.

ფირმა „ჰუჯაბი" გეპატიჟებათ **ლისის ტბაზე.**

იჩქარეთ! ტურისტულ ბანაკში სულ 100 ადგილია!

ცნობებისა და საქმიანი წინადადებისათვის დარეკეთ: **39-41-74, 39-45-92.**

---

## ფირმა „გლობუსი"

სატრანსპორტო-ტურისტული ფირმა „გლობუსი" სამუშაოდ იწვევს იმ მძღოლებს, რომლებსაც ჰყავთ კერძო მფლობელობაში ან იჯარით „სუპერ-მაზის" მარკის ავტომობილები, თურქეთში ტვირთის გადასაზიდად.

ჩვენი მისამართია: კანკავას ქ. №3 (საბჭოს 12-თან).

ტელეფონი: 96-94-49.

---

## სამშენებლო ორგანიზაციების საყურადღებოდ!

მრავალპროფილიანი კოოპერატივი „კომპლექს-90" გთავაზობთ

**სამშენებლო ბლოკების დამამზადებელ ურიკის ტიპის ვიბროდანადგარს**

გაბარიტებით 1650X1500X1800 მმ.

**წარმადობა 300-600 ცალი საათში.**

შემსუბუქებული ბლოკის **(390X200X175)** დასამზადებლად აღნიშნულ დანადგარში შეიძლება გამოყენებულ იქნას წიდის, ღორღის ან კერამზიტის ნარევი.

**ტელ: თბილისში — 51-75-09 ($18^{00}$ — $23^{00}$ სთ.)**

**სოხუმში — 4-27-92.**

---

კონსორციუმი „ქართლის" ფირმა „გრემი" გამომცემლობა „ხელოვნების" გრიფით გამოსაცემად ამზადებს მაინ რიდის ათტომეულს. მსურველებს ვთხოვთ შეიძინონ აბონემენტები გამომცემლობა „ხელოვნებაში"

მისამართი: დავით აღმაშენებლის 179.

ტელ.: 35-10-75

პირველ ტომს მკითხველი მიიღებს უახლოეს თვეებში.

---

**ყურადღება!**

თუ თქვენ გსურთ ბავშვების აღმზრდელის, მოხუცების, ავადმყოფების მომვლელის ბინაზე აყვანა, მიმართეთ ფირმა „ჰუმანიზმის" სერვის ბიუროს.

მისამართი: ლერმონტოვის ქ.№19 (თავისუფლების მოედანთან).

ტელეფონი: 93-20-76

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლოკი"

---

მცირე საწარმო „ესთეტი" ცვლის 4 ტონა შავი ფერის დაბალი წნევის პოლიეთილენის მასალას 3 ტონა თეთრი ფერის ანალოგიურ მასალაზე.

ცნობებისათვის მიმართეთ მისამართზე: **ალ. ყაზბეგის პრ. № 44.**

**ტელეფონი: 39-48-27.**

---

## მცირე საწარმოს შექმნის მსურველთა საყურადღებოდ!

საინფორმაციო-საკონსულტაციო ფირმა „კოლხა-კონსულტი" უმოკლეს ვადაში შეიმუშავებს თქვენთვის კერძო (საოჯახო), კოოპერაციული, საიჯარო, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და სხვა ფორმის მცირე საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტაციას და დაიცავს თქვენს ინტერესებს საწარმოს მარეგისტრირებელ სახელმწიფო ორგანოებში.

ჩვენი მისამართია: **380007, ქ.თბილისი, ლერმონტოვის ქ. №18, IV სართული, საინფორმაციო-საკონსულტაციო ფირმა „კოლხა-კონსულტი"**

ტელეფონები: **39-02-76, 98-99-70**

**12 საათიდან 17 საათამდე.**



ახალგაზრდა ივერიელი

«Ахалгазрда Иверieли»

ტელეფონები: მიმღები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-90-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი

ვაჟა ბალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, ვ. კოსტავას ქ. № 14, ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსზე, შეკვეთა № 29 ... 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 ვ. კოსტავას ქ. № 14.